წლის შირაქი

SHIRAKI

№ 50-51 (10.056)
31 დეკემბერი 2023 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

ყოველკვირეული გამოცემა
ფასი: 60 თეთრი

გილოცავთ!

ქვირფასო დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ 2023 წელს. მინდა, მოკლედ შევაჯამო გასული წელი, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის და ასევე ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის იყო ძალიან დადებითი და ნაყოფიერი, რადგან ჩვენმა ხელისუფლებამ არსებული გამოწვევების მიუხედავად, შეძლო და ქვეყანაში შეინარჩუნა სტაბილურობა და მშვიდობა. შესაბამისად, საქართველომ გააგრძელა ეკონომიკური პროგრესი და შედეგმაც არ დააყოვნა. ქვეყნის სტაბილურობა თანაბრად აისახა რეგიონებზეც, მათ შორის, რა თქმა უნდა, ჩვენს მუნიციპალიტეტზეც. შესაბამისად, გასულ წლებთან შედარებით დედოფლისწყაროში წელს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა .

უპირველესად, შევეხები თითოეული დედოფლისწყაროელისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან თემას და გეტყვით, რომ 2022 წელს, მთელი წლის განმავლობაში შეუჩერებლად მიმდინარეობდა 24 საათიანი წყალმომარაგების მიზნით დაწყებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები. აღნიშნული პროექტი დასრულების ეტაპზეა და 2023 წლის პირველ ნახევარში ქ. დედოფლისწყაროში უწყლოობის პრობლემა წარსულში დარჩება.

ჩვენ შევპირდით ახალგაზრდებს, რომ 2022 წელი იქნებოდა ახალგაზრდობის წელი და ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადავდგამდით.

დაპირება შესრულებულია - არხილოსკალოში დაწყებულია ლაშა ბექაურის სახელობის ძიუდოს დარბაზის მშენებლობა, ქ.დედოფლისწყაროში კიკბოქსინგის ცენტრის მშენებლობისთვის გამოცხადებულია ტენდერი, ასევე ქ.დედოფლისწყაროსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში აშენდა 7 ახალი სპორტული მოედანი, ხოლო სრულად რეაბილიტირდა - 10. ასევე მოეწყო 4 საბავშვო დასასვენებელი სკვერი ატრაქციონებით. ვფიქრობთ, რომ არა მხოლოდ 2022, არამედ ყველა წელი ეკუთვნის ჩვენს მომავალს, ამიტომაც სპორტული ინფრასტრუქტურისა და საბავშვო სივრცეების მოწყობას 2023 წელსაც გავაგრძელებთ. რადგან მომავალ თაობაზე ვსაუბრობ, აქვე გეტყვით, რომ გასულ წელსაც პრიორიტეტული იყო სასწავლო ინფრასტრუქტურის მოწყობა. განსაკუთრებულად აღვნიშნავ ოზაანში ახალი საჯარო სკოლის მშენებლობის დაწყებას. ეს იყო ყველა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ათწლეულების განმავლობაში გაცემული უცვლელი დაპირება, რომელიც მხოლოდ ჩვენ ვაქციეთ რეალობად. სკოლის მშენებლობა 2024 წლის დასაწყისში დასრულდება. ოზაანის სკოლის გარდა რეალობად ვაქციეთ კიდევ ერთი დაპირება და საბათლოელი ბავშვებისთვის ავაშენეთ ბაგა-ბაღი, რომელსაც უახლოეს მომავალში გავხსნით. აქვე აღვნიშნავ, რომ აქტიურად მიმდინარეობს ჩვენი საყვარელი N1 სკოლის დემონტაჟი, რომელიც ავარიულია და მის ადგილას მალე ახალი, კაპიტალური, თანამედროვე სტანდარტების შენობა გვექნება. წელს დაიწყება კიდევ ერთი პროექტი-ზემო ქედის პირველი საჯარო სკოლის დემონტაჟი და ახალი კაპიტალური სკოლის მშენებლობა.

გასულ წელს აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობაც. საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ხორნაბუჯის ციხესთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, რაც დედოფლისწყაროში ახალი მიზიდულობის წერტილი გახდება. აღსანიშნავია ისიც, რომ პრემიერის ინიცირებული პროექტის - განახლებული რეგიონების ფარგლებში, ქალაქმა დედოფლისწყარომ სრულიად განსხვავებული იერი შეიძინა. ჰერეთისა და რუსთაველის ქუჩებზე განხორციელებულმა ინფრასტრუქტურულმა სამუშაოებმა ჩვენი ქალაქი ევროპული ტიპის პატარა ქალაქს დაამსგავსა. პროექტის ფარგლებში მოხდა როგორც ფასადური განახლება, ასევე ამ ქუჩებზე არსებული კორპუსების გამაგრება, რამაც გაზარდა მათი მდგრადობა და უსაფრთხოება. „განახლებული რეგიონები“ არის წარმატებული პროექტი და მას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია, რისთვისაც ძალიან დიდ მადლობას ვუხდი ჩვენს პრემიერს.

კიდევ ერთი დაპირება, რომელიც ჩვენს დედოფლისწყაროელებს მივეცით, არის მრავალბინიანი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობა. გაგახარებთ და გეტყვით, რომ უკვე გვყავს ტენდერში გამარჯვებული კომპანია, რომელიც სამუშაოებს იანვრიდან შეუდგება. ასევე იანვარში დაიწყება ჩვენი საამაყო ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმთან მისასვლელი გზის სრული რეაბილიტაცია.

წლის დასაწყისში აქტიურ ფაზაში გადავა დედოფლისწყაროს ცენტრალური სკვერის რეაბილიტაცია, სადაც მოეწყობა სპორტული და გასართობი სივრცეები. ასეთი მასშტაბის დასასვენებელი ზონა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ჯერ არ ჰქონია. დედოფლისწყაროს ცენტრალური პარკი გახდება საუკეთესო განსატვირთი ადგილი არა მხოლოდ დედოფლისწყაროელებისთვის, არამედ ჩვენი მუნიციპალიტეტის სტუმრებისთვისაც.

2022 წელს კვლავ გრძელდებოდა საგზაო და სამედიცინო ინფრასტრუქტურის მოწყობა. ჩვენს სოფლებში აშენდა და რეაბილიტირდა ამბულატორიები, მოასფალტდა შიდა საუბნო გზები... ეს მცირე ჩამონათვალია იმ მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტებისა, რომელიც გასულ წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში განხორციელდა.

მეგობრებო, დამეთანხმებით, ამდენი გრანდიოზული და საშვილიშვილო პროექტი ერთი წლისთვის არც ისე ცოტაა. ყოველ წელს გპირდებით, რომ მომავალი წელი კიდევ უფრო უკეთესი იქნება და ეს დაპირება ყოველთვის სრულდება. ამჯერადაც ასეა - გპირდებით, რომ 2023 წელი იქნება კიდევ უფრო ნაყოფიერი , რადგან ჩვენი, ცენტრალური ხელისუფლებისა და ჩემი გუნდის მთავარი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ წინსვლა და კეთილდღეობაა.

არ შემიძლია, არ შევეხო იმ ტრიუმფალურ გამარჯვებებს, რომელიც ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს. ლაშა ბექაურმა კიდევ ერთხელ გაგვახარა და წლის მიწურულს ტოკიოს გრანდ სლემზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო 14 წლის უშუისტი საბა ბუთხუზი ევროპის და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. წარმატებებს მივაღწიეთ სპორტის თითქმის ყველა სახეობაში, მათ შორის, კიკბოქსინგში, სასკოლო კალათბურთში, ფეხბურთში და სხვა.

2022 წლის მიღწევები ამით არ სრულდება. წარმატებები მოიპოვეს ხელოვნების სხვადასხვა დარგში მოღვაწე დედოფლისწყაროელებმა. მათ შორის, დედოფლისწყაროს ჰამლეტ გონაშვილის სახელობის გალობის სკოლის აღსაზრდელებმა, რომლებმაც არაერთ კონკურსში მიიღეს მონაწილეობა და დიპლომებით დაგვიბრუნდნენ. ჩემს თავს და ყველა თქვენგანს გულით ვუსურვებ, რომ 2023 წელს კიდევ უფრო მეტი ჩვენი თანამემამულის წარმატება გვეზეიმოს.

გილოცავთ შობა-ახალ წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხვავსა და ბარაქას, უფალი გფარავდეთ!

ნიკოლოზ ჯანიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი

ჩემო ქვირფასო მეგობრებო, გილოცავთ ახალ 2023 წელს. გისურვებთ, რომ ეს წელი თითოეული თქვენგანისთვის ოცნებების ახდენისა და გამარჯვების წელი ყოფილიყოს.

გასულმა წელმა უამრავი სიკეთე მოიტანა. ჩვენმა სახელისუფლებო გუნდმა დედოფლისწყაროში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. ზოგი მათგანი დასრულებული ჯერ არ არის, თუმცა მყარი საფუძველი აქვს ჩაყრილი და სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

წელს ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდება ისეთი პრობლემა, როგორიცაა უწყლოობა. დამეთანხმებით, ეს ყველაზე სასიცოცხლო გამოწვევაა, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტს გააჩნია.

ყველა ხედავთ, დღითიდღე როგორ ლამაზდება და მშვენდება ჩვენი დედოფლისწყარო და სოფლები. გასული წლების მსგავსად, აღმშენებლობითი პროცესი წელსაც გაგრძელდება - აქტიურ ფაზაში შევა ქ.დედოფლისწყაროს N1, ზემო ქედის N1 და ოზაანის საჯარო სკოლების მშენებლობები. ასევე დედოფლისწყაროს ცენტრალური სკვერის მოწყობის სამუშაოები და მრავალი სხვა.

ეს ყველაფერი კი მშვიდობის, სტაბილურობის, გუნდურობის და ერთმანეთის გვერდში დგომის შედეგია. მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა დაგვარწმუნა, რომ ყველაზე ძვირფასი სწორედ მშვიდობაა. მშვიდობის გარეშე ყველა ძალისხმევა, მონდომება და გარჯა ფასს დაკარგავს და შედეგს ვერ გამოიღებს. ამისთვის მე, და თითოეული ჩვენგანი, უაღრესად მადლობლები ვართ ჩვენი ხელისუფლების, რომელმაც შეძლო და ამ ურთულეს პერიოდში ქვეყანას მშვიდობა შეუნარჩუნა.

მშვიდობას, სიყვარულს და ერთად ყოფნას გისურვებთ, მეგობრებო. ხვავი და ბარაქა არ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახებს, საყვარელ ადამიანებს და ჩვენს სამშობლოს.

2023 წელს გილოცავთ. შევხვდებით კიდევ უფრო უკეთეს დედოფლისწყაროში.

პატივისცემით,
ნუგზარ პაპიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გილოცავთ ახალ 2023 წელს!

C M Y K

„2023 წელს იმედიანად ვხვდებით, ახალი პროექტებითა და ახალი პერსპექტივებით“

კიდევ ერთი წელი გახდა წარსულის კუთვნილება, კიდევ ერთმა წელიწადმა გადასცა ესტაფეტა ახალ წელს. როგორი იყო 2022 წელი დედოფლისწყაროსთვის, რა პრობლემები მოგვარდა მუნიციპალიტეტში ან რა მემკვიდრეობა და გამოწვევები დაუტოვა მან 2023 წელს, ამის შესახებ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრობს.

„2022 წარმატებული წელი იყო დედოფლისწყაროელებისთვის. ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა გადაიჭრა ან მათი გადაჭრის გზები მოინახა. ყველაზე დიდი პრობლემა დედოფლისწყაროელებისთვის უწყლობაა. 2022 წლის მანძილზე აქტიურად მიმდინარეობდა წყლის პრობლემის მოგვარების სამუშაოები-მდინარე ივრიდან წყლის ამოყვანის სამუშაოების 80 % შესრულებულია და ვიმედოვნებთ, რომ სწრაფი ტემპით მიმდინარე პროცესი უწყლობას იმაზე სწრაფად დაამთავრებს ჩვენს მუნიციპალიტეტში, ვიდრე ეს პროექტითაა გათვალისწინებული.

პროექტის მიხედვით, დალის მთის წყალსაცავიდან 38 კმ-იანი მაგისტრალი მოეწყო, დასრულდა 9.5 მილიონის ღირებულების 35 კილომეტრიანი ელექტრო გადამცემი ხაზი, რომელიც მაგისტრალური ხაზის მუშაობისთვის არის აუცილებელი. აშენდა სატუმბი სადგურები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ძველ და დასრულების ეტაპზეა ახალი რეზერვუარვუარის მშენებლობა. ასევე, დასკვნით ეტაპზეა წყალმომარაგებისთვის აუცილებელი ყველა საჭირო ინფრასტრუქტურული სამუშაო. პროექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე, 2023 წლის პირველ ნახევარში დასრულდება. შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობა 24 საათიანი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყალმომარაგებით ისარგებლებს. უწყვეტი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში შემავალი 14 სოფლის 23 000-მდე ბენეფიციარიც. კომპანიის მიერ მიმდინარე პროექტები მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემის სრულ რეაბილიტაცია-მშენებლობას გულისხმობს. მათი საერთო ღირებულება 52 მლნ. ლარს შეადგენს.

- თქვენი წინასაარჩევნო დაპირების ერთ-ერთ პუნქტს სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა წარმოადგენდა. რა ხდება ამ კუთხით დედოფლისწყაროში?

-დიდი ცვლილებები შევიტანეთ სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგების თვალსაზრისით. ჩვენ ვეწევით ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას. შარშან წინასაარჩევნო დაპირება იყო, რომ მოხდებოდა ბავშვთა გასართობი სივრცეებისა და ატრაქციონების მოწყობა, ერთი წელიც არ იყო გასული და გამოვაცხადეთ ტენდერი. მიმდინარეობს 7 ახალი სტადიონის მშენებლობა, 10 არსებული სტადიონის სრული რეაბილიტაცია, 5 ბავშვთა გასართობი ატრაქციონის მოწყობა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უკვე დაიწყო პრემიერის დანაპირების-ლაშა ბექაურის სახელობის ძიუდოს დარბაზის მშენებლობა. გამოვაცხადეთ ტენდერი ქალაქ დედოფლისწყაროში კიკბოქსინგის დარბაზის ასაშენებლად. მოკლედ, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით დედოფლისწყაროში უამრავი პროექტი ხორციელდება.

აღსანიშნავია ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალური სტადიონის მესერის მოწყობა. მოგეხსენებათ, ევროკავშირის დაფინანსებითა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობით ცენტრალური სტადიონი რეაბილიტირდა, თუმცა დარჩა რაღაც ნაწილი, რომლის შეკეთებაც მოგვიანებით მოგვიხდა. მათ შორის იყო სტადიონის მესერი, რომელიც უკვე ძველი და ამორტიზებული იყო და თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობდა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ავარიული კედლის დემონტაჟი და მოეწყო ახალი დეკორატიული რკინის მესერი. პროექტი საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობით განახორციელა და მისმა ღირებულებამ 99 553 ლარი შეადგინა. სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა არის ახალგაზრდობის ცხოვრების ჯანსაღი წესით დაინტერესების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა.

- დედოფლისწყაროში რომ ტურიზმის განვითარების პოტენციალი არსებობს, ამაზე უკვე აღარავინ დაობს. თუმცა, ფაქტია, რომ ტურიზმის განვითარების შემაფერხებელი რამდენიმე ფაქტორი არსებობს, ერთ-ერთი კი მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურაა. რა კეთდება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, რომ დედოფლისწყარო ტურისტებისთვის მეტად მომხიბლავი გახდეს?

- გეთანხმებით, რომ დედოფლისწყაროში საკმაოდ კარგი ტურისტული პოტენციალი არსებობს და იმაშიც გეთანხმებით, რომ ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით გარკვეული პრობლემებია. ჩვენთვის კარგადაა ნაცნობი ყველა ის საკითხი, რომელიც მოგვარებას ითხოვს. ჩვენი მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ინვესტორთან, რომელიც ამ პრობლემების დაძლევაში გვეხმარება. დაიწყო ხორნაბუჯის ციხესთან მისასვლელი გზისა და საპიკნიკე სივრცის კეთილმოწყობის სამუშაოები,რომელიც ტურიზმის განვითარებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. ეს არის საპილოტე, რეგიონების განვითარების ფარგლებში მიმდინარე პროექტი, რომლის ღირებულებაც, დაახლოებით, 5 მილიონ ლარს შეადგენს. ის როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ვიზიტორებისთვის ახალი მიზიდულობის ცენტრი გახდება. ასევე მთელი რაიონი გალამაზდა და გადასხვაფერდა პრემიერის არაჩვეულებრივი ინიციატივის წყალობით, საუბარია „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტზე.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ევროკავშირის ერთობლივი ძალისხმევით, კახეთში, როგორც საპილოტე რეგიონში, აქტიურად ხორციელდება საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა.აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს - რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, ურბანული განახლება და ადგილობრივი ბიზნესის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ეს ყველაფერი ხელს უწყობს როგორც ტურიზმის განვითარებას, ასევე მცირე მეწარმეობის განვითარებასაც ჩვენს მუნიციპალიტეტში, ვგულისხმობ ახალი მაღაზიების, ახალი კაფეებისა და სხვა მცირე საწარმოების გახსნას დედოფლისწყაროში.

- რა პროექტების განხორციელება იგეგმება 2023 წლისთვის დედოფლისწყაროში?

-2023 წლისთვის იგეგმება კიკბოქსინგის დარბაზის მშენებლობა, რომლის ღირებულებაც მილიონ ლარს შეადგენს; წინასაარჩევნო დაპირება იყო, რომ 25-ივე მრავალბინიანი კორპუსის ეზოს კეთილმოწყობა მოხდებოდა და ამ დაპირებასაც რეალობად ვაქცევთ 2023 წელს. ტენდერი უკვე გამოცხადდა და წლის ბოლომდე ხელს მოვაწერთ გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულებას, იანვრიდან კი სამუშაოები დაიწყება. ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმამდე მისასვლელი გზის სრული რეაბილიტაცია იგეგმება. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პროექტი 1 300 000 ლარამდე დაჯდება. იგეგმება სოფელ ჭოეთთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. მოგეხსენებათ, აქ, ძირითადად, ბოშური თემია დასახლებული და ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ მათი როგორც საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, ასევე საზოგადოებაში ინტეგრირების პროცესს. 5-6 წლის წინ ამ სოფელში არც დენი იყო, არც წყალი, ახლა ის სრულად გაზიფიცებულია, გაკეთდა განათების სიტემა, ამბულატორიაც აშენდა და მალე გაიხსნება. ვიცით, რომ სოფელ ჭოეთის პატარა მაცხოვრებლები ქალაქ დედოფლისწყაროს N2 და ხორნაბუჯის საჯარო სკოლებში იღებენ განათლებას და მათ სპეციალური ტრანსპორტი ემსახურებათ. ყველა სოფელში მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა და ვთვლით, რომ სოფლებსა და ქალაქს შორის განსხვავება ნელ-ნელა მცირდება. ეს ჩვენი, „ქართული ოცნების“ გუნდის მიზანია.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს აქვს პრეტენზია, რომ კახეთის რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესოა საბავშვო ბაღებში არსებული სიტუაციის თვალსაზრისით.

განვაგრძობთ მომავალ თაობაზე ზრუნვას. ერთადერთი სოფელი, სადაც არ იყო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, ეს უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარე სოფელი საბათლოა. 2023 წელს აქ ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი აშენდება.

- რა გამოწვევები რჩება დედოფლისწყაროს ადგილობრივ ხელისუფლებას?

-ცხოვრება იმიტომაა საინტერესო, რომ მუდმივად ახალ-ახალ გამოწვევებს გვთავაზობს. ერთი პრობლემის მოგვარების შემდეგ, დღის წესრიგში ახალი პრობლემა ჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ბევრი, საუკუნის პრობლემის გადაჭრა შეძლო, ვგულისხმობ საგზაო, სამედიცინო ინფრასტრუქტურის მოწყობას, ქედების ზონის გაზიფიცირებას, განათლების ობიექტების რეაბილიტაციას, ბუნებრივია, კვლავ დარჩენილია პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც 2023 წლისთვის ვგეგმავთ.

სოფელ ოზაანში მიმდინარეობს ახალი სკოლის მშენებლობა. ცნობისთვის გეტყვით, რომ 1991 წელს იგეგმებოდა ამ სკოლის აშენება, მაგრამ მხოლოდ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ მოახერხა მისი განხორციელება. მომავალ წელს მოხდება ზემო ქედის N1 სკოლის დემონტაჟი და ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყება; უკვე დაიწყო ქალაქ დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის დემონტაჟი და დაიწყება ახალი სკოლის მშენებლობა; სოფელ სამთაწყაროში დასრულდება სკოლის რეაბილიტაცია, რის შემდეგაც სოფელს თანამედროვე სტანდარტების სკოლის შენობა ექნება. მოკლედ, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ 2022 წლის ბოლოს გაცილებით უკეთესი ვითარებაა დედოფლისწყაროში, ვიდრე ეს იყო 2021 წლის ბოლოს.

2023 წელს იმედიანად ვხვდებით, ახალი პროექტებითა და ახალი პერსპექტივებით.

„ვცდილობთ, დაცული იყოს ყველა ამომრჩევლის უფლება და აზრის გამოხატვის თავისუფლება“...

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო ჩვენი პატარა პარლამენტია, რომელიც ბევრ საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც მერიისგან მოდის, კანონის სახეს აძლევს. როგორი იყო 2022 წელი დედოფლისწყაროსთვის? - განვლილი წლის შეფასება საკრებულოს თავმჯდომარეს ვთხოვეთ.

ნუგზარ პაპიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: „2022 ნელი ჩვენი რაიონის ცხოვრებაში იყო ერთ-ერთი წარმატებული წელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების, ჩვენი რაიონის გალამაზებისა და ჩვენი ხალხის უფრო მეტი კეთილდღეობისთვის ბრძოლის თვალსაზრისით. აღმშენებლობა საქართველოს 63 ქალაქში, მათ შორის, დედოფლისწყაროში, პრემიერის ინიციატივით დაანონსებულმა პროგრამამ „განახლებული რეგიონები“ გამოიწვია. თუ გავიხედავთ ფანჯრებიდან, დავინახავთ, როგორ შეიცვალა ჩვენი ცხოვრება, მუნიციპალიტეტის რეალობა და რა აღმშენებლობაც მიმდინარეობს. ბევრ ევროპულ ქალაქში ნამყოფი არ ვარ, მაგრამ სადაც ვყოფილვარ, ვფიქრობ, რომ მათ სტანდარტებს ნელ-ნელა ვუახლოვდებით და ეს ფაქტი ძალიან მახარებს.

ას წელზე მეტია, რაც ქედები არსებობს, მოგვიანებით შეიქმნა ალაზნისპირა სოფლებიც, და გაზი, წყალი, განათება და ყველა ის სიკეთე, რაც ქალაქად არის, ამჯერად სოფლებშიც ხელმისაწვდომია. პრაქტიკულად, ყველა მათგანი საუკუნის პროექტია ერთადაც და ცალკ-ცალკეც. ეს ყველაფერი სასიამოვნოა ჩვენთვის. მე, როგორც რიგითი მოქალაქე და გნებავთ, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, „ქართული ოცნების“ გულშემატკივარი და მისი წევრი, ვამაყობ იმით, რაც კეთდება და მითუმეტეს, რაც წელს განვახორციელეთ.

ყველამ კარგად ვიცით, რომ მუნიციპალიტეტში წყლის რესურსი მწირია. წყაროებსა და ჭებში წყლის დონე იკლებს. არ შეიძლება აქ არ აღვნიშნოთ ის პროექტი, რომლის წყალობითაც დედოფლისწყაროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არტერია შეემატება, რომელიც ბუნებრივად გაზრდის რაიონში წყლის დებეტს. ეს ფაქტორი ხალხს გამოაცოცხლებს და იმის სტიმულს მისცემს, რომ აქ დაბრუნდნენ, იცხოვრონ, გაზარდონ შვილები, შვილიშვილები და შექმნან ის მატერიალური დოვლათი, რაც მათ ოჯახებს და ქვეყანას გამოადგება. ამისთვის მთავარი პირობა არის წყალი.

ხშირად მოისმენთ მოსახლეობისგან კონტრარგუმენტს - კარგია ინფრასტრუქტურული პროექტები, დიდი და ლამაზი სკოლები, კარგი გზა, განათებული ქუჩები, მაგრამ რითი ვიარსებოთ, როცა სამუშაო ადგილები არ არსებობს...

-რამდენიმე დღის წინ პრემიერის წლიური მოხსენება მოვისმინეთ, რომელმაც აღნიშნა, რომ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება დასაქმების პრობლემა. მეც ასე მივიჩნევ. ეს ფაქტია, მით უმეტეს სოფლებში, სადაც საწარმოები არ გვაქვს. ქალაქში ეს პრობლემა ნაკლებადაა, რადგან ყველგან მშენებლობის ბუმია. მე ვფიქრობ, რომ ჩვენთანაც მდგომარეობა თანდათანობით, ეტაპობრივად გამოსწორდება. ამის საფუძველს მაძლევს დედოფლისწყაროში ახლად გაშენებული ასობით ჰექტარი ვენახის პლანტაცია და სოფლად დაბრუნებული ახალგაზრდები; ყურძნის მოყვანის მოტივაცია მათ მთავრობის სუბსიდირების პროგრამამ, სარწყავი სისტემის მოწესრიგებამ და რეალიზაციის საკითხის მოგვარებამ მისცა. ამის იმედს მაძლევს ნაყოფიერი შირაქის ველი, სადაც გოჯ მიწასაც ვეღარ ნახავთ დაუმუშავებელს... ამდენ ვენახს, ხვნა-თესვის პროცესს მუშახელი სჭირდება. ეს არ არის პრობლემის გადაწყვეტა, უმუშევრობის მოგვარება დიდ ფაბრიკებსა და ქარხნებს შეუძლია, მაგრამ არასტაბილური, ანუ დროებითი, სეზონური სამუშაოს პოვნა უკვე სოფელშიც შესაძლებელია.

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ დასაქმების საკითხის გადაჭრა ერთმნიშვნელოვნად შეუძლებელია, მოსახლეობის პრეტენზიაც ლეგიტიმურია და ჩვენთვის გასაგები. დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს, რომ ჩვენს მოქალაქეებს მხარში ამოუდგეს. ამის მაგალითად გამოდგება სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების დასაქმების მიზნით ამოქმედებული „საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა“. დღეისათვის საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმდა 30 ათასზე მეტი სოციალურად დაუცველი პირი. დედოფლისწყაროშიც ბევრი დასაქმდა ამ პროგრამის ფარგლებში და ბევრ ადამიანს მოეხსნა ოჯახის რჩენის პრობლემა. სამთავრობო პროგრამის ფარგლებში, 2023 წლიდან სოციალურად დაუცველ ბავშვთა ფულადი დახმარება გაიზრდება და 200 ლარი გახდება, ნაცვლად 150 ლარისა.

სახელმწიფოში მუშაობს მეწარმეობის ხელშეწყობის არაერთი პროგრამა, მათი წყალობით ბევრმა ფერმერმა შეიძინა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკა, რომლებიც შემდეგ თვითონ ქმნიან სამუშაო ადგილებს; დაფინანსდა ბევრი წვრილი საწარმო - სილამაზის სალონები, თონეები და სხვა . აქაც დასაქმდნენ ადამიანები. და უნდა ითქვას, რომ ბევრი დაბრუნდა სოფლად, ადამიანები დაუბრუნდნენ მშობლიურ სახლებსა და მიწებს. სახელმწიფო, ეს არის ხალხი. ხელისუფლებასაც ხალხი ირჩევს და არასასურველი მმართველი პარტიის მიმართ უარის თქმაც ხალხის პრეროგატივაა. ხალხის არჩევანი ჩვენთვის მოტივაციაა, რომ რაც შეიძლება ბევრი გავაკეთოთ ქვეყნისთვის, ჩვენი მოქალაქეებისთვის, რათა მეტად კონკურენტუნარიანი იყოს ქართული პოლიტიკური ველი.

თქვენ, როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, როგორ შეაფასებდით დედოფლისწყაროს პოლიტიკურ ცხოვრებას? საკრებულოში პოზიციაც და ოპოზიციაც დებატების ფორმატში აქტიურად ხართ ჩაბმული, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ხელჩართულ ბრძოლამდე აქ საქმე არასოდეს მისულა...

- დედოფლისწყაროს საკრებულოში უმრავლესობას მმართველი პარტია წარმოადგენს, მაგრამ უმცირესობაში მყოფი ოპოზიცია დაჩაგრულის პოზაში ნამდვილად არ იმყოფება. მათ მუდმივად ეძლევათ საშუალება, ნებისმიერ საკითხზე დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრება. ჩვენ, ყველანი ვცდილობთ, პატივი ვცეთ ერთმანეთის აზრს და სიძულვილის ენა არასოდეს გამოვიყენოთ, იმის მიუხედავად, ვიზიარებთ თუ არა მოწინააღმდეგე პოლიტიკური მხარის პოზიციას. ამიტომაც საკრებულოში ჩხუბი და აყალ-მაყალი არასოდესაა. მიმაჩნია, რომ ჩხუბით, ნივთების სროლით საქმე არასოდეს კეთდება.

იცით, ჩვენთან რატომაა მშვიდობიანი თანაარსებობა ოპოზიციისა და მმართველი პარტიისა? იმიტომ, რომ მარტო მშრალი ციფრებიც კი ლაპარაკობს ქვეყნის წინსვლაზე. წინა ხელისუფლების დროს ადგილობრივი ბიუჯეტი 3-4 მილიონს შეადგენდა, ახლა კი 22-23 მილიონამდე ავდივართ.

ჩვენ ვაშენებთ სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოს, ამიტომ ვცდილობთ, დაცული იყოს ყველა ამომრჩევლის უფლება და განსხვავებული აზრის გამოხატვის თავისუფლება.

გვერდი მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

« მოვახერხეთ, რომ წელს 3 მილიარდ ლარზე მეტი იყო ბიუჯეტი და გაისადაც 3 მილიარდ 300 მილიონი იქნება»

მახსოვს, შარშან, როდესაც პრემიერად დავინიშნე, საუბარი გვქონდა გუნდში, რომ მოსალოდნელი იყო არათუ ბიუჯეტის გაზრდა, არამედ შემცირება, განახევრებაც, მაგრამ ჩვენ მოვახერხეთ ისე, რომ წელს 3 მილიარდ ლარზე მეტი იყო ბიუჯეტი და გაისადაც, 3 მილიარდ 300 მილიონი იქნება, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, 2022 წლის ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, წელს რეკორდული ბიუჯეტი იყო - სამ მილიარდ ლარზე მეტი. „ასევე, რაც შეეხება რეგიონებს, მინდა მოკლედ ვთქვა, რომ ჩვენი გაცხადებული პოლიტიკაა, რეგიონებში თანაბრად გადანაწილდეს სიკეთეები, ის დოვლათი, რომელიც იქმნება ქვეყანაში. ამ მიზნით, ჩვენ დავიწყეთ ყველა მუნიციპალიტეტში განახლებული რეგიონების პროგრამა, რომელიც საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ყველა მუნიციპალიტეტის ცენტრების განახლება შევძელით, განახლდა 564 შენობა, მოწესრიგდა საინჟინრო ქსელები, განახლდა და მოწესრიგდა 92 პარკი და სკვერი, პროგრამა გრძელდება. ამ ეტაპზე, პროგრამის ფარგლებში ინვესტირებული არის 400 მილიონ ლარზე მეტი. ასევე, ჩვენ შევისწავლეთ საბავშვო ბაღების მდგომარეობა, ეს ერთ-ერთი დიდი გამოწვევა არის ქვეყანაში, ჩვენი შვილები, ბავშვები მთელს ქვეყანაში, ვთქვათ პირდაპირ, რომ საკმაოდ რთულ პირობებში იზრდებიან, ამიტომ აუცილებელი იყო ამ პროგრამის დაწყება. ჩვენ 885 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციას ვიწყებთ მომავალი წლიდან, რამდენიმე ფაზად დაიყოფა აღნიშნული პროგრამა. ეს არის ჯამში მილიარდ 300 000 000 ლარის პროექტი, ყველა ბაღი აშენდება, მოეწყობა და გარემონტდება ევროპული სტანდარტის მიხედვით. ასევე, მინდა ვთქვა და შეგახსენოთ, რომ ჩვენ, დაახლოებით, 800-მდე სკოლის რეაბილიტაცია-განახლებას ვიწყებთ. 2023 წელს 400 სკოლის პროექტს დავიწყებთ, აქედან 80 აშენდება, დანარჩენი სრულად განახლდება და მოეწყობა ევროპული სტანდარტის მიხედვით. ესეც არის დაახლოებით 1 მილიარდი ლარის ღირებულების პროგრამა“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქველმოქმედო აქცია დედოფლისწყაროს სათნოების სახლში

29 დეკემბერს დედოფლისწყაროს სათნოების სახლში საქველმოქმედო აქცია გაიმართა. სოციალური სახლის ბენეფიციარებს დამდეგი ახალი წელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილმა თანამშრომლებთან ერთად მიულოცეს და საახალწლო ნუგბარი გადასცეს. საქველმოქმედო აქციის ფარგლებში საახალწლო სასაჩუქრე კალათა 200 ბენეფიციარს გადაეცა.

დედოფლისწყაროს საწარმო „სადილს“ აზერბაიჯანში გაიტანს

დედოფლისწყაროში წარმოებული დაკონსერვებული „სადილი“ 2023 წლიდან ექსპორტზე აზერბაიჯანში გავა. კომპანიის მარკეტინგის კონსულტანტი ამიკო კალანდია აცხადებს, რომ გასულ წელს კომპანიამ „სადილის“ წარმადობა 20%-ით 500 000 ქილამდე გაზარდა, რაც მწარმოებელს როგორც ადგილობრივ ბაზარზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილების, ასევე მზა პროდუქტის ექსპორტზე გატანის შესაძლებლობა მისცა.

„მაისში აზერბაიჯანში გამართულ გამოფენა **AgroFood**-ზე მივიღეთ მონაწილეობა, სადაც სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით წავედით. იქ მსხვილი საცალო ქსელების წარმომადგენლები გავიცანით. პირველი პარტიები 100 000 ქილის მოცულობით აზერბაიჯანში იანვარში იგზავნება, ხოლო 2023 წლის ბოლოსთვის აზერბაიჯანში ჯამში 200 000-მდე ქილის რეალიზება გვინდა“, - აღნიშნა ამირან კალანდიამ და დასძინა, რომ მეზობელ ქვეყანაში 5 დასახელების პროდუქტი გავა - მოშუშული ხორცი სხვადასხვა შეფუთვებით და ოსტრი. გარდა ამისა, წელს ქართული „სადილით“ უკრაინის ჯარის მომარაგებაც მოხდა.

პარტნიორობა ნაწილობრივ საქველმოქმედო იყო.

„ჯეონატურალსი“ 2023 წლიდან წარმოებაში ექსპორტის 50%-მდე გაზრდას გეგმავს და დიდ იმედებს დუბაიში, თებერვალში დაგეგმილ გამოფენაზე ამყარებს: „თებერვალში დუბაიში დაგეგმილია გამოფენა **Gulf food**, რომლის მხარდამჭერი „აწარმოე საქართველოშია“. ჩვენი წარმოება სააგენტოს ბენეფიციართა სიაში მოხვდა, რომლებიც გამოფენაზე იქნებიან წარდგენილი. ვიმედოვნებთ, გამოფენის შემდეგ ჩვენი საექსპორტო ბაზრები კიდევ უფრო გაფართოვდება, ვგეგმავთ, რომ ექსპორტმა ჩვენი წარმოების ნახევარი დაიკავოს. ჩვენი სამიზნე ბაზრები კი გალფის ქვეყნებია“, - ამბობენ კომპანიაში.

აღსანიშნია, რომ 2022 წელს „ჯეონატურალსმა“ 414 000 ქილა დაკონსერვებული „სადილი“ აწარმოა, თუმცა კომპანიის 2023 წლის გეგმებში წარმადობის გაოთხმაგება შედის, რაც ადგილობრივ ბაზარზე პროდუქტის რეალიზების ზრდასთან ერთად, ექსპორტის გააქტიურებასაც მოიცავს. 2016 წლიდან დღემდე „ჯეონატურალსმა“ დედოფლისწყაროში საწარმოს ამოქმედებასა და განვითარებაში ჯამში 5 მლნ ლარის ინვესტიცია ჩადო. ცნობისთვის: სოფელ გამარჯვებაში წარმოებული „სადილის“ პროდუქტებით ქართული ჯარიც მარაგდება.

„ოჯახის ექიმი უკვე ოჯახის მეგობარია“

სამრეკლო დედოფლისწყაროს ცენტრთან ერთ-ერთი ახლოს მდებარე სოფელია.

XX საუკუნის დასაწყისში ნიკოლოზ II-მ შირაქის ველის აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოასახლა ზაპოროჟიელი ურჩი კაზაკები, რომლებმაც ახალ დასახლებას „სეჩენოვკა“ უწოდეს. 1921 წლის შემდეგ აქ ჩამოსახლდნენ ზემო მაჩხაანისა და მირზაანის მაცხოვრებლები. ამ სოფელს გასაბჭოებულ საქართველოში რევოლუციონერ ალიოშა ჯაფარიძის სახელი ეწოდა.

2011 წლიდან მას კვლავ დაუბრუნდა ეროვნული მთავრობის მიერ შერჩეული ტოპონიმი-სამრეკლო. გაზეთი „შირაქი“ ამ სოფელს ესტუმრა და აქ არსებულ სიტუაციას ადგილზე გაეცნო.

სამრეკლოში ცოტა ხნის წინ რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფლის ამბულატორიას. ჩვენი პირველი ვიზიტიც აქ შედგა. ოჯახის ექიმი თეა გიგოლაშვილი ჩვეულ ამპლუაში დაგვხვდა - ის ხანდაზმულ პაციენტს უწევდა სამედიცინო კონსულტაციას. როგორც პაციენტმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რეაბილიტირებული ამბულატორიითაც და თეა ექიმითაც ძალიან კმაყოფილია.

თეა გიგოლაშვილი: „სამი თვეა, რაც ახალ ამბულატორიაში გადმოვედით. თანამედროვე მედიცინაში, ძალიან მნიშვნელოვანია პირველადი ჯანდაცვისთვის ინფრასტრუქტურის მოწყობა, რადგან სოფელში მარტო 300-მდე ბავშვი გვყავს. კონტიგენტი იმდენად დიდია, რომ ყოველთვიურად ტარდება ვაქცინაცია. პრაქტიკულად, ყოველ დღე გვიწევს აცრების ჩატარება. ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, მიმართვიანობა ძალიან მაღალი გვაქვს. 300-მდე ბავშვი და პლუს 2600-მდე მოსახლე როდესაც ჰყავს სოფელს, აქ ნამდვილად აუცილებელია პირობების შექმნა. სამრეკლო ის ერთ-ერთი სოფელია, რომელიც დღესდღეობით დაცლილი არ არის. მადლობა ღმერთს, დღეს აქ შედარებით კარგი დემოგრაფიული მდგომარეობა გვაქვს-ბევრი ახალგაზრდა მშობელი იღებს გადაწყვეტილებას, რომ მესამე შვილი იყოლიოს. ამ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. პირველადი ჯანდაცვა ეს ის საფეხურია, სადაც ხდება პაციენტთან პირველი შეხება და მისთვის სწორი მიმართულების მიცემა. ამ დროს დანახარჯებიც მცირდება, როგორც პაციენტის მხრიდან, ასევე სახელმწიფოს მხრიდანაც. როდესაც კონკრეტულად, საჭირო მიმართულებით მიიღებ სამედიცინო მომსახურებას, რა თქმა უნდა, თანხების დაზოგვასთან გვექნება საქმე. გარდა ამისა, ბევრჯერ მადლობაც უთქვამთ, იმ სწორი მიმართულებისთვის, რომელიც პაციენტისთვის მიგვიცია. იმისთვის, რომ საჭირო სპეციალისტთან მივიდნენ და სწორი დიაგნოსტირება მოხდეს. ჩვენ ვიწრო სპეციალისტებისგან იმითაც განვსხვავდებით, რომ ზოგიერთ ადამიანს ჩვენ მთელი ცხოვრება მივყვებით. ვიცით, ვის რა სჭირს, ვის რა მდგომარეობა აქვს, ვის რომელ კონკრეტულ მედიკამენტზე აქვს ალერგიული ფონი და ა.შ“.

სოფელში ოჯახის ექიმი მხოლოდ ვიწრო სპეციალისტი კი არაა, ის ხშირად ოჯახის მეგობარი და ფსიქოლოგიცაა. ამას ადასტურებს თეა გიგოლაშვილიც.

„ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარების გარდა, ხშირად სოციალური პრობლემების გადაჭრაშიც ვეხმარებით ხალხს. გაგიკვირდებათ, მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ გვაკითხავენ ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ პრობლემებზეც. ორი შემთხვევა გვქონდა, როდესაც ქალებს დავეხმარეთ მოძალადე ქმრებისგან თავის დაღწევაში. ძალიან მრავალფუნქციურია პირველადი ჯანდაცვა. ოჯახის ექიმი უკვე ოჯახის მეგობარია. 2000 მოსახლეზე 1 ბრიგადაა გათვლილი - 1 ექიმი და 1 ექთანი. ბევრი რაღაც არც გვეხება, მაგრამ მაინც ბოლომდე გვერდით ვუდგავართ მოსახლეობას. შუამავლის ფუნქციაც კი გვაქვს შეთავსებული. მოსახლეობას ჩვენი იმედი გვაქვს. ყველამ თუ თავისი საქმე გააკეთა, ეს ყველასთვის კარგია და ქვეყნისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი. მთავარია, შენი საქმე კარგად აკეთო. “

ინგა შიოლაშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში წინა საახალწლო ღონისძიებები ჩატარდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან და ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელთან, ირმა ჯანაშვილთან ერთად საახალწლო ზეიმებს ქ.დედოფლისწყაროს N4 და სოფელ ხორნაბუჯის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დაესწრო.

პატარები მაყურებლის წინაშე მხატვრული და ქორეოგრაფიული ნომრებით წარსდგნენ. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ბავშვებს ახალი წელი მიულოცა და ბედნიერი მომავალი უსურვა.

საახალწლო განწყობის შესაქმნელად ღონისძიებები მუნიციპალიტეტის ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში გაიმართა.

* * *

შობა, რომელიც გრინჩმა მოიპარა, არხილოსკალოს საბავშვო ბაღში მაინც დადგა. პატარების და თოვლის პაპის სიყვარულით სავსე გულებმა მარტოსული და გაბოროტებული გრინჩის გულიც გაათბეს.

მოპარული შობისა და კეთილი ბავშვების ისტორია არხილოსკალოს საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა წარმოადგინეს. საახალწლო ღონისძიებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი, მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილი და სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელი ირმა ჯანაშვილი დაესწრნენ.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა პატარებს ახალი წელი მიულოცეს და მხიარული და ბედნიერი წელი უსურვეს.

* * *

ახალ 2023 წელს ქ. დედოფლისწყაროს N2 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები სიმღერებით და ლექსებით შეეგებნენ. პატარებს ახალი წელი თოვლის პაპამ მიულოცა და ნუგბარით დაასაჩუქრა. ზემო მაჩხაანის ბაგა-ბაღს კი თოვლის პაპა ცხენით ესტუმრა.

საახალწლო ღონისძიებები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში ჩატარდა.

„ყველაფერს ვაკეთებთ, დედოფლისწყაროს კულტურული ცხოვრება მეტად მომხიბლავი და საინტერესო რომ გახდეს“

კულტურა დინამიურია და მუდმივად ვითარდება, რომ უპასუხოს საზოგადოების მოთხოვნებს. კულტურა განსაზღვრავს მომხმარებლის იმ პრიორიტეტებს, რომლებსაც ის ანიჭებს სხვადასხვა აქტივობებსა და პროდუქტებს. ის აგრეთვე განსზღვრავს კონკრეტული პროდუქტისა თუ მომსახურების წარმატებასა და მარცხს. მომხმარებლის ქცევასა და კულტურას შორის კავშირი ორმხრივია. კულტურა შეისწავლება, როგორც სოციალური გამოცდილების ნაწილი. ბავშვები გარემოდან სწავლობენ იმ შეხედულებების, ღირებულებებისა და ჩვევების ნაკრებს, რომელიც კულტურასთან თავსებადია.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი აქტიურადაა ჩაბმული მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში. როგორი იყო პანდემიის შემდგომი პერიოდი დედოფლისწყაროს კულტურული ცხოვრებისათვის? გაზეთი „შირაქი“ მუნიციპალიტეტის **კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს მამუკა ყავრელიშვილს** ესაუბრა.

„ქართველთა უნიკალური და მრავალფეროვანი კულტურა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა, ათასწლეულებს ითვლის. სხვადასხვა ტრადიციულმა ელემენტებმა, როგორც დასავლურმა, ისე აღმოსავლურმა, გავლენა მოახდინა საქართველოს კულტურულ იდენტობაზე, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური ტრადიციები. ჩვენი სამსახურის მიზანია, ხელი შეუწყოს ამ ტრადიციების შენარჩუნებას და მომავალი თაობისთვის მათ გადაცემას. ბავშვი ადრეული ასაკიდან უნდა ეზიაროს ხალხურ სიმღერასა და ქორეოგრაფიას, სადაც ყველაზე კარგადაა ჩვენი ტრადიციული ელემენტები შემონახული. “

2022 წელი, პრაქტიკულად, პირველი კულტურულად აქტიური ნელია პანდემიის შემდეგ. მეც რამდენიმე თვეა, რაც ამ სამსახურში გადმოვედი და ჩემს თანამშრომლებთან ერთად ვეცნობი სამსახურის სპეციფიკას.

ბავშვებთან მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს, ამიტომ მათთან ურთიერთობა ჩემთვის დიდი სიამოვნებაა. 2022 წელს ჩატარდა ბევრი კარგი ღონისძიება, სადაც აქტიურად იყვნენ ჩართულები, როგორც ადგილობრივი სახელოვნებო კოლექტივები, ასევე საქართველოს მასშტაბით ცნობადი სახეებიც. მათ ვიწვევდით, რათა დედოფლისწყაროს კულტურული ცხოვრება ახალგაზრდებისთვის მეტად მომხიბლავი და საინტერესო გამხდარიყო.

მნიშვნელოვანი იყო ეს წელი მუზეუმებისა და საბიბლიოთეკო გაერთიანებისთვისაც. ცენტრალური ბიბლიოთეკა შეივსო წიგნადი ფონდით და ამიერიდან ნორჩ მკითხველს თანამედროვე ნაწარმოებებზე მეტი წვდომა ექნება; მუზეუმმა არაერთ საინტერესო ღონისძიებას უმასპინძლა, მათ შორის ჩვენი თანამემამულეების ახალი წიგნების პრეზენტაციას.

წელს შეუზღუდავად ჩატარდა „დედოფლისწყაროობა“, „ღვინის დღეები საქართველოში“ და „ფიროსმანობა“ სოფელ მირზაანში. წლის ბოლოს კი კულტურის ცენტრმა საახალწლო კონცერტს უმასპინძლა.

ნაყოფიერი 2022 წლის შემდეგ, ვფიქრობთ, 2023 წელი კულტურული ცხოვრების თვალსაზრისით ბევრად მრავალფეროვანი იქნება.

ბედნიერი ახალი წელი, ჩემო დედოფლისწყაროელებო!

„ჯანსაღ სხეულში ნამდვილად ჯანსაღი სულია“...

ბრაზილიელი რიკარდო კაკა ერთ-ერთი ის სპორტსმენთაგანია, რომელიც სანამ დიდი და ლეგენდარული ფეხბურთელი გახდებოდა, სხვა ბრაზილიელი ფეხბურთელებისგან განსხვავებით სიღარიბეში არასოდეს უცხოვრია და ოჯახი რიკარდოს სპორტის რამდენიმე სახეობაზე ერთად ატარებდა. როგორც კაკა იმ პერიოდს იხსენებს, მისთვის სპორტი და მწვანე მინდორზე სირბილი საშინელ რუტინად იქცა და რომ არა ახალი მწვრთნელი, რომელმაც ფეხბურთის საზრისს აზიარა - იგი სპორტს არასოდეს გაჰყვებოდა. კაკას მაგალითზეც ჩანს, თუ როგორი რთულია სპორტის მასწავლებლისთვის და მწვრთნელისთვის მოზარდის სპორტით დაინტერესება და როგორ „ბეწვის ხიდზე“ უნდა გაიაროს, რომ ზედმეტი ვარჯიშითა და ჩიჩინით უარესი არ ქნას და ბავშვს საერთოდ არ აუცრუოს გული სპორტზე..

საქართველო ყოველთვის სპორტული ქვეყანა იყო, რასაც ათწლეულების განმავლობაში ჩვენი სპორტსმენების ფენომენალური შედეგებიც მოწმობს. ტრადიცია შესანიშნავი რამაა, მაგრამ მას შენარჩუნება და თანამედროვეობაზე მორგება სჭირდება. სხვაგვარად არაფერი გამოვა. სპორტით ნაკლებად დაინტერესებულ ადამიანებს, როგორც წესი, მიაჩნიათ, რომ სპორტი (ნებისმიერი სახეობა) მხოლოდ ფიზიკურ აქტივობას მოიცავს და ფიზიკური ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესებაზე მეტი ფუნქცია არ გააჩნია. არადა, ჯანსაღ სხეულში რომ ნამდვილად ჯანსაღი სულია, ეს არც წარსულის გადმონაშთია და არც ილუზია.

ბავშვისათვის სპორტის შეყვარების საქმეში დიდი როლი აკისრია მწვრთნელსა და მასწავლებელს. დიდ ბრიტანეთში ხშირად ხუმრობენ, რომ ლეგენდარულ შოტლანდიელ ფეხბურთის მწვრთნელს - სერ ალექს ფერგიუსონს მწვრთნელობა რომ არ აერჩია სპეციალობად, მისგან სკოლის უცნაური მასწავლებელი დადგებოდა. კარგი სანახავი იქნებოდა, მობერებული „ფერგი მასწი“ როგორ ატარებს სკოლაში სპორტის გაკვეთილს და ბავშვებს „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ადმირალი ნელსონის დიდ გამარჯვებებზე ერთად ესაუბრება.

დედოფლისწყარო არც წარსულში და არც აწმყოში ნამდვილად არ უჩივის წარმატებულ სპორტსმენთა დეფიციტს. ამის დასტურად ოლიმპიური ჩემპიონის-ლაშა ბექაურის სახელიც კმარა. მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრის დირექტორს განვლილი წლისა და შედეგების შეფასება ვთხოვეთ.

პაპაკი ნატროშვილი, სპორტისა და ახალგაზრდული საქმეთა ცენტრის დირექტორი: „2022 წელი, წინა წლებისგან განსხვავებით, რაც პანდემიისგან იყო გამოწვეული, განსხვავებული იყო. პანდემიური პაუზის შემდეგ, იმ ენერგიამ, რაც ბავშვებში იყო დაგროვილი, ამოხეთქა და ძალიან წარმატებული წელი გამოგვივიდა. უპირველესად, გეტყვით, რომ საბა ბუთხუზი, 14 წლის ჭაბუკი, უშუს გუნდის წევრი, გახდა ევროპის ჩემპიონი, რომელიც ჩატარდა საბერძნეთში, და მერე, ორ თვეში, დეკემბერში ინდონეზიაში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც ასევე გაიმარჯვა საბამ და ოქროს მედლით ხელდამშვენებული დაბრუნდა. მადლობა მერს და საკრებულოს, რომ ეს წარმატება დააფასეს და 5000 ლარით დააჯილდოვეს ახალგაზრდა სპორტსმენი საბა ბუთხუზი, ხოლო მისი მწვრთნელი გაწეული ღვაწლისათვიის 1000 ლარით დაჯილდოვდა. იყო კიდევ ბევრი წარმატება. კიკბოქსინგში გვყავდა საქართველოს 9 ჩემპიონი, ასევე უშუ-სანდაში ჩემპიონები, ყველა სპორტის სახეობაში, რომელიც ჩვენთან არსებობს, ყველა ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა და არაერთი წარმატება მოვიპოვეთ. ასევე დედოფლისწყაროში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირები, ქართულ ჭიდაობაში, მაგალითად, რომელიც 2 აგვისტოს უნდა გამართულიყო, მაგრამ გადაიდო საქართველოში მომხდარი ტრაგედიის გამო, ჩატარდა ნოემბერში, სადაც ყველა სპორტსმენმა წარმატებით იასპარეზა.

ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირები უშუ სანდაში, ფეხბურთში... 26 მაისს ჩატარდა მუნიციპალური ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც დედოფლისწყაროს 12 სოფლის გუნდი მონაწილეობდა. საპრიზო ადგილებზე გასულთათვის იყო საპრიზო ფონდი შექმნილი - 1 ადგილზე გასულს 500 ლარი გადაეცა, 2 ადგილზე გასულს - 400, მესამეზე-200 ლარი. დაჯილდოვდნენ თასებითა და მედლებით,

ასე რომ, საერთო ჯამში, 2022 წელი შეგვიძლია შევაფასოთ დადებითად, მართლაც 500-მდე ბავშვი მონაწილეობს ჩვენს სპორტულ წრეებში და ვიმედოვნებთ, რომ 2023 წელს მეტი ბავშვი დაკავდება ცხოვრების ჯანსაღი წესით.

რაც შეეხება ახალგაზრდობის სამსახურს, აქაც აქტიური ცხოვრებით დაკავდნენ ბავშვები და ახალგაზრდები, როგორც „იბერიის“, ასევე ლიგის წევრები. მათ ბევრ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა, დასუფთავების აქციებიდან დაწყებული, გამწვანების აქციებით დამთავრებული. ასევე ლიდერებმა მოაწყვეს საზაფხულო ბანაკი ბავშვებისთვის, 6-დან 13 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის. 100 ბავშვი იყო და 5 დღის მანძილზე ისინი წინასწარ შემუშავებული პროგრამის ფარგლებში ისვენებდნენ აქ და კვებითაც უზრუნველყოფილები იყვნენ მშობლებთან ერთად. მერე ლიდერები 5-დღიან ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ რაჭაში, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია მათში. ახალგაზრდებმა აღდგომის წინა დღეებში უპატრონო, მიტოვებული საფლავები დაასუფთავეს. ამან უკვე ერთგვარი ტრადიციის სახე მიიღო და ვაპირებთ, გავაგრძელოთ.

ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის“ საკმაოდ დიდი წარმატებით ჩატარდა.

კმაყოფილები ვართ წლევანდელი წლით და ვიმედოვნებთ, მომავალ წელს უკეთესი შედეგებით წარვდგებით.

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს ყველას, სიკეთის, მშვიდობისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ის თითოეული ჩვენგანისათვის.

წლის სპორტსმენი — საბა ბუთხუზი

ბოლო წლები ძალზე ნაყოფიერი იყო დედოფლისწყაროელი საბა ბუთხუზის სპორტულ კარიერაში. თუმცა, 2022 გამორჩეული და დიდი წარმატებების მომტანი აღმოჩნდა. საბა 5 აგვისტოს ბათუმში **A** კატეგორიის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი გახდა, რამაც დიდწილად მისი მსოფლიო ჩემპიონატზე წარდგენა განაპირობა. სწორედ ბათუმში მიღწეული წარმატების შემდეგ საქართელოს ეროვნულმა ნაკრებმა ჩათვალა, რომ ვინაიდან საბამ უცხოელი მეტოქეები სამშობლოში დაამარცხა, მისთვის მიეცათ შესაძლებლობა, ძალები მსოფლიო ჩემპიონატზე მოესინჯა. მან ნაკრებისა და პირადი მწვრთნელის ნდობა გაამართლა და ინდონეზიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე რამდენიმე მეტოქე დაამარცხა, რის შემდეგაც 2022 წლის 9 დეკემბერს მსოფლიო ჩემპიონის სტატუსი და ოქროს მედალი მოიპოვა. ამ გამარჯვებას კიდევ უფრო მეტ ხიბლს სძენს ისიც, რომ სპორტის ამ სახეობაში საქართველოდან მსოფლიო ჩემპიონი არავინ გამხდარა და საბა ბუთხუზი ისტორიაში პირველი ქართველი მებრძოლია, რომელმაც ამ დონეს მიაღწია. საბას გამარჯვება სოციალურ ქსელში საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმაც მიულოცა.

მსოფლიო ჩემპიონის ტიტულამდე რამდენიმე კვირით ადრე, 10-16 ნოემბერს საბა ბუთხუზმა საბერძნეთში ევროპის ჩემპიონის ტიტულიც დაისაკუთრა. ამ უპრეცედენტო შედეგების და მაღალი რანგის მიღწევების გათვალისწინებით, გაზეთ „შირაქის“ რედაქცია წლის სპორტსმენადა ასახელებს საბა ბუთხუზს, რომელიც ჯერ მხოლოდ 14 წლისაა და ასაკის მიუხედავად, უმაღლესი ტიტულების მოხსნა უკვე შეძლო. წინ კიდევ დიდი წარმატებებია და მისგან ახალ გამარჯვებებს ველით. მანამდე საბა ბუთხუზი ორგზის საქართველოს ჩემპიონი იყო.

2022 წლის საერთო შედეგები უშუს ეროვნულმა ფედერაციამაც შეაჯამა. ცხადია, საბა ბუთხუზი ფედერაციამაც გამოარჩია და თბილისში გამართულ შემაჯამებელ დაჯილდოვების ცერემონიაზე წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა, მისი მწვრთნელი კი წლის საუკეთესო მწვრთნელად.

ნიკა ხუზაურაშვილი საქართველოს ჩემპიონია!



დიღომში ძიუდოს აკადემიაში შოთა ჩოჩიშვილის სახელობის საქართველოს ჩემპიონატზე ჩემპიონები გამოვლინდნენ. 60 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ფავორიტი თემურ ნოზაძე იყო, რომელიც ნახევარფინალში დედოფლისწყაროელ **ნიკა ხუზაურაშვილთან** დამარცხდა.

ნოზაძემ ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში თომა გელაშვილს აჯობა, ხოლო ამირან დარბაისელმა ლაშა ჩადუნელს შიდოების უპირატესობით აჯობა და ისიც ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. ფინალურ ბრძოლაში ნიკა ხუზაურაშვილმა საბა გრიგალაშვილი ვაზარით ორჯერ დააგდო და ოქროს მედალს დაეუფლა.

ნიკა ხუზაურაშვილი ოლიმპიური ჩემპიონის სოფლიდანაა და ისიც პერსპექტიულ ძიუდოისტად ითვლება. „შირაქი“ არხილოსკალოელ სპორტსმენს წარმატებულ წელს უსურვებს“

5 ოქრო საქართველოს ჩემპიონატიდან

18 დეკემბერს თბილისში ტანვარჯიშის არენაზე უშუში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა, სადაც დედოფლისწყაროს გუნდმა 11 მედალი მოიპოვა, აქედან 5 ოქროს, 3 ვერცხლი და სამიც ბრინჯაო.

საქართველოს ჩემპიონები გახდნენ და ოქროს მედლით დაბრუნდნენ: ლუკა ლიქოკელი, დაჩი ზოროღლიანი, ნუგო ჭრელაშვილი, ნიკოლოზ ხარაზიშვილი და დავით ბუაძე.

„სამწუხაროდ, რამდენიმე წამყვანი მებრძოლი ტურნირზე არ გავიდა, ან სხვა წონით კატეგორიაში მონაწილეობდა, რის გამოც რამდენიმე პოტენციური პირველი ადგილი დავკარგეთ. საუკეთესო ფორმაში არიან, მაგრამ ტურნირი გამოტოვეს გივი გოჩიტაშვილმა და თამაზ ღვინიაშვილმა. ევროპის და მსოფლიო ჩემპიონი საბა ბუთხუზი, ასევე გიორგი წიკლაური 55 კგ-ს იწონიან, თუმცა 65 კგ-ში გამოვიდნენ და სამწუხაროდ არათანაბარი პირობების გამო დამარცხდნენ. გიორგი თავის წონაში №1-ია. ასევე რამდენიმეს შეჯიბრის წინა დღეს სეზონური ვირუსი შეხვდა და გამოტოვა ტურნირი. საბოლოო ჯამში, ჩვენს გუნდს 4 ახალი საქართველოს ჩემპიონი შეემატა, რომელთაც ეს ტიტული არ ჰქონდათ. ნიკოლოზ ხარაზიშვილმა კი ეს ტიტული მეხუთედ აიღო,“ – უთხრა „შირაქს“ მწვრთნელმა გიორგი ცისკარაულმა.

არასამთავრობო სექტორმა წელი შეაჯამა

2022 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ მონაწილეობა მიიღო ENPARD-3-ის პროგრამის - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ - ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში და წარადგინა პროექტი „ქალაქ დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ცენტრალური ბაღის და მიმდებარე სკვერის დაზიანებული ფრაგმენტების აღდგენა-რეაბილიტაცია ეკომეგობრული მიდგომებით“.

ბაღში და სკვერში მოეწყო განათების ახალი ქსელი, განთავსდა ლაითბოქსები (მანათობელი ყუთი) ცნობიერების ასამაღლებელი გარემოსდაცვითი სარეკლამო მესიჯებით, სანაგვე ურნები, დაიდგმება ახალი დასასვენებელი სკამები; გაკეთდა სასმელი წყლის შადრევნები, მიმდებარე სკვერის შესასვლელში, კიბეებთან მოეწყო პანდუსი შშმ პირებისთვის, აღდგა შადრევანი და აქაც მოეწყო განათება. ელექტროქსელი მომარაგდება ე. წ. „მწვანე ენერგიით“ - მერიის სახურავზე უკვე დამონტაჟებული 5 კილოვატიანი მზის პანელებით, რაც დაზოგავს ელექტროენერგიის ხარჯებს, უსაფრთხოების დაცვის მიზნით კი, განახლებულ რეკრეაციულ სივრცეში, განთავსდა ვიდეოკამერები. მალე ეს ადგილი გადაიქცევა სუფთა და უსაფრთხო ახალი მიზიდულობის ცენტრად, როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე ვიზიტორებისთვის.

ა(ა)იპ დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა - ლაგმა (LAG), მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის დაფინანსებით, გაეროს განვითარების ENPARD-3-ის პროგრამის - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ - ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში და წარადგინა პროექტი: „ინოვაციური მიდგომები - სათემო განახლებადი ენერგიის ოაზისები დედოფლისწყაროში“; მიღებული საგრანტო დაფინანსებით, სამიზნე დასახლებებში (მირზაანი, ქ. დედოფლისწყარო, ქვემო ქედი, ფიროსმანი), მონწვეული ექსპერტების დახმარებით, ფოკუს-ჯგუფებში ჩაატარა ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია: საინფორმაციო შეხვედრები და თემატური ტრენინგები კლიმატის ცვლილების, ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიების თემატიკით, გაზეთ „შირაქის“ ბაზაზე მოამზადა საინფორმაციო ცნობარი „კლიმატის ცვლილება, ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგიები“; პროექტის ფარგლებში, კონტრაქტორ კომპანია „ჰელიოს ენერჯის“ ბაზაზე არსებულ ჰელიო აკადემიაში გადამზადდა ლაგის წევრი 4 ახალგაზრდა მზის პანელების მოწყობის საბაზისო უნარების მიმართულებით, მიიღეს შესაბამისი სერთიფიკატები და ადგილობრივ კონსულტანტთან ერთად შექმნეს მონიტორინგის ჯგუფი პროექტის მდგრადობის მიზნით. ამ ეტაპზე, ორ ლოკაციაზე ქ. დედოფლისწყაროსა და ფიროსმანში, უკვე დამონტაჟდა ორი 30 კილოვატიანი მზის ელექტროსადგურის, საიდანაც უფასო/იაფ ელექტროენერგიას მიიღებს სამიზნე დასახლებების 20 ბენეფიციარის ოჯახი, (ძირითადად, მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი, შშმ პირი წევრიანი, იძულებით გადაადგილებული/ეკომიგრანტი ოჯახები), ორმა ბენეფიციარმა საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთი გამოათავისუფლა ელექტროსადგურებისთვის. დედოფლისწყაროში პირველად მოხდება ქსელში ჩართვით, ნეტო აღრიცხვის სისტემის გამოყენებით, მწვანე, განახლებადი მზის ენერგიის გამოყენება საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის.

ა(ა)იპ დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების და ა(ა)იპ დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის - „ლაგის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის დაფინანსებით, გაეროს განვითარების ფონდის პროგრამის „ჭკვიანი სოფელი“- ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მოპოვებული საგრანტო აფინანსებით, განხორციელდა პროექტი - „დედოფლისწყარო Google map-ზე“. პროექტის ფარგლებში, მოსახლეობასთან, გუგლის სერვისებზე ჩატარდა ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები და მოხდა1000-ზე მეტი ბიზნეს თუ საჯარო დაწესებულებების ლოკაციების დატანა გუგლის რუკაზე. ეს ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ცნობადობას და სხვადასხვა სერვისების ხელმისაწვდომობას ლოკაციებზე.

ა(ა)იპ დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაფინანსებით განახორციელა პროექტი: „აღსრულების ეროვნული ბიუროს სისტემაში ადამიანთა უფლებების გაძლიერება ცნობიერების ასამაღლებელი პრევენციული ღონისძიებების გატარებით ფინანსური რისკების და ვალდებულების შეუსრულებელობით გამოწვეული საფრთხეების შესახებ“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა პრევენციული ხასიათის კამპანია სხვადასხვა სექტორში დასაქმებული, განსხვავებული

ასაკობრივი ჯგუფის, სქესის და ეროვნების ადამიანებთან (მათ შორის მოზარდებთან), მოწვეული ტრენერის მიერ, მოხდა მათი ინფორმირება ფინანსური რისკებისა და ვალდებულების შეუსრულებელობის თანმდევი ნეგატიური შედეგების და აღსრულების ეროვნული ბიუროს ფუნქციების და საქმიანობების შესახებ. მომზადდა და დაიბეჭდა საინფორმაციო ცნობარი „როგორ ავიცილოთ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული რისკები“.

ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით, ესტონეთის ტურიზმის განვითარების ორგანიზაციის მიერ დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციასთან თანამშრომლობით, ხორციელდება პროექტი სოფლის ტურიზმის განვითარების მიმართულებით, კონკრეტულად, ესტონელი პროფესორის და ტრენერების დახმარებით, მოხდა ტურისტული სერვისების ხარისხის გაუმჯობესების კრიტერიუმების შემუშავება და ადგილობრივი ექსპერტების გადამზადება სერვისების ხარისხის შემფასებლის სტატუსით. თეორიული ცოდნის გაღრმავება ხდება პრაქტიკული, სასწავლო აქტივობების გამოყენებით. იგეგმება დედოფლისწყაროს ჯგუფის ვიზიტიც ესტონეთში.

დედოფლისწყაროს ბიორეზერვატი

2022 წელს, ევროკავშირის დაფინანსებით და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) ტექნიკური მხარდაჭერით, დედოფლისწყაროს მერიასთან თანამშრომლობით, ორწლიანი პროექტის - „ბიოსფერული რეზერვატის, როგორც ადგილობრივ დონეზე ინკლუზიური და მდგრადი ზრდის მოდელის, შექმნა კახეთის რეგიონში“ - ფარგლებში, ჩვენს მუნიციპალიტეტში დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატი შეიქმნა. გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (UNESCO) კახეთში ორ დაცულ ტერიტორიას ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი მიანიჭა. საერთაშორისო ნუსხაში „დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატი“ (დედოფლისწყარო) და „სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი“ (თუშეთი) შევიდა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, გადაწყვეტილება პარიზში, UNESCO-ს „ადამიანი და ბიოსფეროს“ საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს 34-ე სესიის ფარგლებში მიიღეს. „UNESCO-ს „ადამიანი და ბიოსფეროს“ პროგრამის სამდივნომ საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი ნომინაცია შენიშვნების გარეშე დაკმაყოფილა. ბიოსფერული რეზერვატი არის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ბუნების კონსერვაციისა და მდგრადი მინათსარგებლობის ერთიანი პრაქტიკის დასანერგად.

ბ ი ო ს ფ ე რ უ ლი რეზერვატი ხელს უწყობს მდგრად რეგიონულ განვითარებას და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ასრულებს მნიშვნელოვან როლს კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და შერბილების კუთხით. იზრდება დაინტერესება ორგანული პროდუქციის წარმოების კუთხით, რაც პირდაპირ კავშირშია მდგრად ეკონომიკურ განვითარებასთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბიოსფერული რეზერვატის შექმნა ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის გაზრდის დიდ შესაძლებლობას იძლევა“, - აცხადებენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი სამხრეთ კავკასიის რეგიონში დღემდე არცერთ ტერიტორიას არ ჰქონდა. ბიოსფერული რეზერვატი მოდელური რეგიონია, რომელიც ხელს უწყობს რეგიონულ განვითარებას, მდგრადი სოფლის მეურნეობის წარმოებასა და ეკოტურიზმის პოპულარიზაციას. ბიოსფერული რეზერვატი დაამკვიდრებს ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული თანაცხოვრების კარგ პრაქტიკას, განსაკუთრებით კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის, ტყეების მდგრადი მართვის და ბუნების კონსერვაციის მიმართულებით.

ბიორეზერვატი ბევრ შესაძლებლობებს ქმნის: გარდა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა, დაცული ტერიტორიები უფრო და უფრო ცნობილი ხდება მათ სიახლოვეს ან ამ ტერიტორიებზე მაცხოვრებელი მოსახლეობისათვის მოტანილი ეკომომიკური სარგებლიდან გამომდინარე. გარდა იმისა, რომ ეროვნული პარკები მნიშვნელოვან ტურისტულ ფუნქციას ასრულებს, ბიოსფეროებზე დადებითად მოქმედებს საკვების ალტერნატიული ქსელების ჩამოყალიბებაც. ბიოსფერულ რეზერვატებს შეუძლია საკვების ინდუსტრიული წარმოების, დისტრიბუციისა და მოხმარების ალტერნატივის შეთავაზება ადგილობრივი პროდუქტების ისეთი ბრენდის შექმნით, რომელიც ადგილობრივი წარმომავლობის გარანტიას იძლევა და წარმოების მდგრადობასაც უზრუნველყოფს; შესაბამისად, იქმნება უფრო უშუალო კავშირი და ნდობის მაღალი დონე მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. ეს ქსელები მნიშვნელოვან და ინოვაციურ მიდგომად მიიჩნევა ადგილობრივი, სოფლის რეგიონებში დამატებითი ღირებულების ჯაჭვის მზარდი პოპულარიზაციისათვის.

ბიომრავალფეროვნების დღესთან დაკავშირებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ნინო თანდილაშვილმა და დედოფლისწყაროს მერმა, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ბიოსფერული რეზერვატის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი და ფრინველებზე დაკვირვების კოშკურა გახსნეს. პროექტის ფარგლებში, მოეწყო სხვადასხვა სარეკრეაციო სივრცეები. კახეთში ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში, ევროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ ჰარცელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ეწვია. პროგრამა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ შამუგიასთან ერთად, დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის შესახებ განცხადებასაც მოიცავდა.

ასევე, დიპლომატი დედოფლისწყაროს განვითარების ჯგუფის (LAG) წარმომადგენლებს შეხვდა და ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ რამდენიმე ადგილობრივ საწარმოს ესტუმრა. კარლ ჰარცელმა და მინისტრმა შამუგიამდღე დედოფლისწყაროს ბიოსფერულ რეზერვატში დაიწყეს, სადაც, რეზერვატის გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) პროგრამაში „ადამიანი და ბიოსფერო“ წარდგენასთან დაკავშირებით, განცხადება გააკეთეს. კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრთან (REC Caucasus) ერთად, მუნიციპალიტეტმა, ბიოსფერული რეზერვატის, როგორც ინკლუზიური და მდგრადი ზრდის მოდელის, განვითარებაზე იმუშავა.

„ბიოსფერული რეზერვატის ნომინაცია, ისევე როგორც, პროექტის ფარგლებში, ბიზნესის განვითარება, ადგილობრივი თემის ცხოვრების პირობებისა და ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. სუფთა და მრავალფეროვანი გარემო კი, ადგილობრივ წარმოებასთან ერთად, მუნიციპალიტეტს და მის მცხოვრებლებს განვითარებასა და წარმატების მიღწევაში დაეხმარება“, - აღნიშნულია ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. დედოფლისწყაროში ვიზიტისას, ელჩი ადგილობრივი განვითარების ჯგუფს (LAG) შეხვდა.

ანა ბენაშვილი,

დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის საბჭოს თავმჯდომარე

„საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში პირველადაა, როცა ქვეყანას მიყოლებით აქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა“

როცა ვსაუბრობთ ეკონომიკის მიღწევებზე, არ გვაქვს ილუზია, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დღეს კეთილდღეობაში ცხოვრობს, თუმცა მხოლოდ ეკონომიკის კარგი შედეგებით შეიძლება დავძლიოთ ის გამოწვევები, რომელიც, წლების განმავლობაში ქვეყანაში დაგროვდა, - ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ ინტერვიუში განაცხადა.

მისივე თქმით, საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში პირველადაა, როცა ქვეყანას მიყოლებით აქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა.

„ეს არ იყო მარტივად მისაღწევი. განსაკუთრებით ომიდან გამომდინარე, გაურკვევლობის ფაქტორი ძალიან დიდი იყო, თუმცა რა შესაძლებლობებიც გაჩნდა, სახელმწიფომ იმ შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება მოახერხა. ჩვენი ეკონომიკური ზრდა განპირობებული იყო როგორც შიდა, ასევე გარე ძლიერი მოთხოვნით და ჩვენ მოვახდინეთ იმ ფაქტორების მაქსიმალურად გამოყენება, რომელიც ხელთ გვქონდა. პირველ რიგში, შუა დერეფნის მიმართ გაიზარდა ინტერესი, გეოპოლიტიკურმა ვითარებამ მოახდინა ტვირთის ნაკადების გადამისამართება. ეკონომიკურ ზრდასა და სხვადასხვა სექტორს როცა ვუყურებთ, ერთ-ერთი განმაპირობებელია სატრანსპორტო დასაწყობების მომსახურება, სადაც მნიშვნელოვანი შედეგები გვაქვს, იმიტომ, რომ ჩვენს დერეფანში ტვირთნაკადი გაიზარდა. ასევე, ტურისტული ნაკადების სწრაფი აღდგენა მოვახერხეთ. ქვეყანამ 3.2. მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო. ჩვენ დავკარგეთ გარკვეული ტურისტული ბაზრები, მათ შორის ტრადიციული ბაზრები, ისეთი, როგორიცაა უახლოესი მეზობლები, რუსეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, თუმცა მოვახერხეთ, იგივე სპარსეთისა და ახლო აღმოსავლეთიდან დამატებითი ტურისტული ნაკადების შექმნა, რამაც თანხაში საშუალება მოგვცა, რომ 2019 წელთან მიმართებით ტურისტული სექტორი სრულად აღგვედგინა. ასევე, გაზრდილია ექსპორტი და ექსპორტის ზრდა საკმაოდ შთამბეჭდავია. 31%-ით გაიზარდა მიმდინარე წელს ექსპორტი და 5 მლრდ დოლარზე მეტი შეადგინა. შესაბამისად, ექსპორტის ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელი გვაქვს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც უნდა აღინიშნოს - პირველი სამი კვარტლის მონაცემებით, 1.7 მლრდ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ფიქსირდება და ესეც რეკორდულად მაღალია, გაორმაგებულია წინა წელთან შედარებით“, - განაცხადა დავითაშვილმა.

რაც შეეხება იმას, რატომ ვერ გრძნობენ ამ ეკონომიკური ზრდის სიკეთეებს მოქალაქეები, დავითაშვილის თქმით, ეკონომიკაში წარსულში დაგროვებული სტრუქტურული პრობლემები, მათ შორის უმუშევრობა, დასაქმების გამოწვევა და ასევე, ძალიან ბევრი პრობლემა მოჰყვება ქვეყანას. „სიღარიბე - ეს არის ჩვენი მთავარი გამოწვევა. რა თქმა უნდა, არც ერთი და არც ორი წლის ეკონომიკური ზრდა სრულად ამ პრობლემებს ვერ აღმოფხვრის. როცა ვსაუბრობთ ეკონომიკის მიღწევებზე, არ გვაქვს ილუზია, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დღეს კეთილდღეობაში ცხოვრობს, თუმცა მხოლოდ ეკონომიკის კარგი შედეგებით შეიძლება დავძლიოთ ის გამოწვევები, რომელიც, წლების განმავლობაში ქვეყანაში დაგროვდა. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რაც მათ შორის გლობალურმა პრობლემებმა შექმნა, არის მაღალი ინფლაცია. ამასთან, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, ჩვენ მოვახერხეთ მოსახლეობის უფრო მეტი ნაწილის დასაქმება, შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები, 15% -მდე დავიდა უმუშევრობის დონე, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სასურველ შედეგს და მიზანს მივაღწიეთ. მიზნისთვის რომ მიგვეღწია, რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად იქნებოდა.

რაც შეეხება ემიგრაციას, რიცხვებით შევხედოთ - 20-წლიან პერიოდში მიგრაცია მუდმივად იზრდებოდა. ეს „საქსტატის“ მონაცემებია. მიგრაციის სალდოს თუ დავაკვირდებით, ბოლო 20 წლის განმავლობაში, ის სამწუხაროდ, სულ უარყოფითია. მიგრაციის სალდო დადებითი მხოლოდ 2020 წელს გვქონდა, რაც პანდემიამ განაპირობა,“- აღნიშნა დავითაშვილმა.

„გვსურს, მეტად გავზარდოთ ინტერესი ქართული გალობისა და ხალხური სიმღერისადმი“

ქართულ ხალხურ მრავალხმიან სიმღერა-გალობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქართველი ხალხის მუსიკალური აზროვნების სიღრმე, მისი ნიჭი და სულიერი სიმდიდრე ურთულეს ხალხურ მრავალხმიან სიმღერებსა და საეკლესიო საგალობლებშია გამოხატული. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძველი ქართული საერო და საეკლესიო მუსიკა არის ერთ-ერთი უდიდესი დარგი ჩვენი წინაპრების შემოქმედებითი უნარის გამოვლინებისა და უდიდესი ნიშანი ჩვენი ერის სულიერი კულტურის რაობისა. ქართული ხალხური სიმღერა და საგალობელი დღესაც, 21-ე საუკუნეში, თავისი მაღალმხატვრულობით, სულიერი სიწმინდით, სტილისტური მთლიანობით, მუსიკალური ენის სიმძაფრითა და სიახლით მაღალი პროფესიული შემოქმედებისა და ოსტატობის დონეზე დგას.

სწორედ ამ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის დაცვას, მის შესწავლასა და პოპულარიზაციას ემსახურება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის „ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლა“, რომელიც 2014 წლიდან ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ჩვენი მკითხველისთვის ახალი არ არის, რომ გაზეთი „შირაქი“ ყოველწლიურად აჯამებს და საზოგადოებას წარუდგენს სხვადასხვა სამსახურების მთელი წლის ნამუშევარს. ამ მიზნით, სწორედ სკოლის ხელმძღვანელს, **ლალი აზარიაშვილს** გავესაუბრეთ:

„ჩვენი სკოლა 2014 წელს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაარსდა. ამ ეტაპზე სკოლაში 14 თანამშრომელია. მის დაფუძნებაში ლომის წვლილი ქალბატონ თამარ თამაზაშვილს მიუძღვის, რომელიც ჩვენი სკოლის დიდი ქომაგი და გულშემატკივარია. სკოლის შექმნის იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი გახლდათ ბატონი დავით ცერცვაძე, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. უკვე რვა წელია სკოლა ღირსეულად ასრულებს თავის მისიას, რაც ქართული გალობისა და ხალხური სიმღერების შესწავლასა და პოპულარიზაციაში, კონკურსებსა თუ ფესტივალებზე წარმატებულ გამოსვლებში გამოიხატება. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩვენი მოპოვებული თითოეული გამარჯვება, ჯილდო, სიგელი, მედალი თუ ა.შ. ადასტურებს იმას, რომ ჩვენს მისიას ღირსეულად ვასრულებთ და ვცდილობთ, მომავალშიც უფრო წარმატებულად გავაგრძელოთ საქმიანობა.“

რა თქმა უნდა, დავინტერესდით თუ რა გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე დადგა სკოლა გასული წლის განმავლობაში. ამ კითხვაზე ქალბატონმა ლალიმ გვიპასუხა: „ბოლო წლებში არსებულმა პანდემიამ ახალი გამოწვევების წინაშე დაგვაყენა, თუმცა, ჩვენ არ ვეპუებოდით სიძნელეებს და ძალას არ ვზოგავდით საქმიანობის გასაგრძელებლად. მეცადინეობებს ვატარებდით რეგულაციების დაცვით, ვსწავლობდით ახალ საგალობლებსა და სიმღერებს. 2020 წლიდან დღემდე იმ რაოდენობის ღონისძიებებში მივიღეთ მონაწილეობა, რისი საშუალებაც პანდემიურმა წელმა საზოგადოებას და ჩვენს მუნიციპალიტეტს მისცა. წელს უკვე გაგვეხსნა ასპარეზი და ქვეყნის მასშტაბითაც გავედით. ჩვენი პირველი სერიოზული ნაბიჯი ამ წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გამართულ ერთობლივ ღონისძიებაზე გამოსვლა იყო, სადაც ჩვენი მუშაობა შევაჯამეთ. ეს იმდენად მასშტაბური და წარმატებული გამოსვლა იყო, რომ საზოგადოების მხრიდან საკმაოდ დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. პანდემიური წლების შემდეგ, ამ კონცერტზე პირველად მოხდა „კულტურული შიმშილის“ დაკმაყოფილება და იმ ღონისძიებისგან სიამოვნების მიღება, რომელიც ასე მონატრებული ჰქონდა საზოგადოებას. ეს იყო ნამდვილი ქართული ხალხური სიმღერისგან და გალობისგან შემდგარი აკადემიური კონცერტი. მადლობის სიგელიც დავიმსახურეთ მერიისგან. ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნო იყო ჩვენთვის. გამოსვლის შემდეგ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ვიგრძენით. ივნისში ჩატარებულ საანგარიშო კონცერტზე ფართო პროგრამით წარვდექით, რომელიც მოიცავდა არამარტო კახურ, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების სიმღერებს - იმერული, მეგრული, სვანური. ვეცადეთ ბავშვები ყველანაირად „დაგვერაზმა“, სულისკვეთებით აგვენთო, რომ ქართული სიმღერის ხასიათი გამოეხატათ. სულ ვეუბნებოდით ბავშვებს, რომ მეტი ემოციურობა და ხასიათი ეჩვენებინათ. თვითონაც კი ვერ ხვდებიან იმდენად ნიჭიერები არიან. ჩვენი თითოეული შესრულების მიზანი იმ შემართებისა და ხასიათის ჩვენებაა, რომლითაც საუკუნეების განმავლობაში ჩვენი წინაპრები მღეროდნენ.“

გარდა პანდემიით გამოწვეული სირთულეებისა, ქალბატონმა ლალიმ 2022 წლის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევაზეც ისაუბრა - სწავლის მსურველ ბავშვთა რაოდენობის შემცირებაზე. მის აღმოსაფხვრელად, მან და მისმა კოლეგებმა დიდი შრომა გასწიეს, რომელმაც გარკვეული შედეგი გამოიღო, მაგრამ არა ბოლომდე დამაკმაყოფილებელი. **„ამის გამომწვევ მიზეზებზე საუბარი ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ. ქართული ხალხური სიმღერა ხომ ადრე სცენაზე არ სრულდებოდა, ეს იყო ყოფითი. გლეხკაცი იმიტომ კი არ მღეროდა, რომ სცენაზე შეესრულებინა და ამისთვის რეპეტიციებს კი არ გადიოდა, ეს მისი ყოფის განუყოფელი ნაწილი იყო. შრომობდა - მღეროდა, უხაროდა მღეროდა, უფალს ევედრებოდა - უგალობდა, საომრად მიდიოდა - საომარი ყიჟინას სცემდა, მიცვალებულების დატირება ცალკე რიტუალი იყო. ის, რომ ქართველი კაცი, დღევანდელ ყოფაში, დაშორდა ხალხურ სიმღერას, ფაქტია. დრომ მოიტანა. წინათ ოჯახებში სულ მღეროდნენ, ოჯახებიდან მოდიოდა ხალხური სიმღერის სიყვარული, ისინი ასწავლიდნენ თავიანთ შვილებს. დღეს აღარც ოჯახები მღერიან, აღარც შვილები დადიან ხალხურ სიმღერებზე. ამას დაემატა პანდემიაც და გართულდა ბავშვების მოზიდვა, დაინტერესება. როგორ მოვიზიდავდით ბავშვებს, როდესაც სკოლაში სწავლა ფაქტობრივად გადასული იყო დისტანციურ რეჟიმზე. როდესაც რეგულაცია გეუბნება, რომ პირბადით უნდა ამღერო ბავშვები, ეს ფაქტობრივად შეუძლებელია. ძალიან რთულია. ბავშვმა სწორად უნდა გამოუშვას ხმა, დიაფრაგმამ სწორად და თავისუფლად უნდა იმუშავოს, ბგერის დაჭერა შესძლოს.** ერთი პერიოდი გავყავით რეგულაციების დასაცავად ბავშვები, რადგან ფიზიკურად ვერ ვტევდით. შემდეგ ამ ორი ჯგუფის ნამღერი უნდა შეგვეერთებინა და ა.შ. ჩვენი ქართული სიმღერა სამხმიანია და ანსამბლის მთელი ხიბლიც ისაა, რომ შეხმატკბილებულად უნდა იყოს ყველაფერი. ამ ყველაფერმა მოსწავლეთა რაოდენობაზე გავლენა იქონია. მოხდა თაობათა ცვლაც. ის თაობა დაგვაკლდა, რომელიც 2019-2020-2021 წლებში უნდა მოსულიყო. ფაქტობრივად, 2022 წელს დავიწყეთ აქტიური სწავლა-მეცადინეობაც და კონკურსებსა თუ ფესტივალებზე გასვლა. ამჯერად სკოლაში 31 მოსწავლე გვყავს. ტენდენცია ძალიან ცუდია, ხალხური სიმღერების მიმართ განელებულია ინტერესი, უმეტესობა გულგრილადაა განწყობილი. მიუხედავად ამისა, ჩვენი ბავშვების შემართებით, ნიკა შანშაშვილის (ანსამბლის ხელმძღვანელი) თავდაუზოგავი შრომით, კარგი შედეგი დავდეთ.“

ქალბატონმა ლალიმ ისაუბრა იმ შედეგებზე, რომელიც სკოლამ ზემოთ ნახსენებ კონკურსებსა თუ ფესტივალებზე აჩვენა. „საანგარიშო კონცერტის შემდეგ უკვე ვიცოდით, რომ ტარდებოდა საბავშვო და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების ეროვნული მეექვსე კონკურსი. დებულების მიღების შემდეგ, მზადება სექტემბრიდან აქტიურ რეჟიმში დავიწყეთ. 15 ოქტომბერს თელავში გაიმართა პირველი ტური, რის შედეგადაც გადავედით მეორე ტურში, რომელიც 30 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა. აღნიშნულ კონკურსში, გალობაში, ოქროს მედალი ავიღეთ და ხალხურ სიმღერაში - ბრინჯაო. სიმართლე, რომ გითხრათ, სხვების შესრულებას რომ მოვუსმინე და გადანაწილებულ ჯილდოებს შევხედე, ვიფიქრე, რომ დაგვჩაგრეს. ბავშვებსაც ასეთი განცდა დარჩათ. თანაც, ეს იმ ყველაფრის ფონზე, როგორი სიმღერებიც გვქონდა გატანილი: „აფხაზური ვარადო“ და „ბერიკაცი ვარ“, რომელსაც საკმაოდ კარგად ასრულებენ ბავშვები. კონკურსზე როდესაც გადიხარ, მზად უნდა იყო, რომ შეიძლება გულიც დაგწყდეს, ყოველთვის ვერ გაიმარჯვებ, მაგრამ ამან არ უნდა შეგაშინოს. აუდიტორიის ზემოქმედება, ღელვა, განცდა - სცენაზე, რომ გამოდიხარ ადამიანი, შეიძლება დაიბნე, იმდენად განიცადო. სცენაზე დგომასაც სწავლა უნდა. რომ არ გავსულიყავით, არ შეიძლებოდა. ბავშვებს ვუთხარი, კარგია რომ ბრინჯაოც ავიღეთ, რადგან უმეტესობას ეს შედეგიც არ დაუდია. ეს იმის მანიშნებელია, რომ ჩვენ ვარსებობთ, ვმოძრაობთ, რაღაცას ვაკეთებთ. ანსამბლთან ამჯერად ორი პედაგოგი მუშაობს - ნიკოლოზ შანშაშვილი და გელა გველუკაშვილი.“

სამომავლო გეგმებზე საუბრისას, ქალბატონი ლალი აღნიშნავს: **„მიუხედავად იმისა, რომ სწავლა უფასოა და ჩვენი მუნიციპალიტეტი, ჩვენი ქვეყანა ცდილობს ბავშვებს შეაყვაროს, ასწავლოს ხალხური სიმღერა, მაშინ როდესაც ფინანსდება ეს ყველაფერი, დაინტერესება მაინც ნაკლებია. 2022 წელს უფრო მეტი ბავშვის შემოსვლის მოლოდინი გვქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. არის შემთხვევები, როდესაც ფარული სმენაც კი აღმოგვიჩენია ბავშვში, ისეთში, რომელსაც თავიდან ამის არანაირი კვალი არ ეტყობოდა. მინდა, რომ მასშტაბი გავზარდოთ, მეტი ბავშვი მოვიზიდოთ, შევასწავლოთ სიმღერა. ქართულ ხალხურ სიმღერაში ისეთი მუხტია ჩადებული, სიტყვით ვერ აღწერ. 2023 წელს ვგეგმავ ბავშვების კიდევ უფრო მოზიდვას და ინტერესის გაზრდას. უფრო მეტად უნდა ვიმუშავოთ, მეტი კონტაქტი უნდა გვქონდეს მშობელთან, რადგან ბავშვის სწორად აღზრდას და განვითარებას მშობელი წარმართავს. ჯერ მშობელი უნდა დავარწმუნოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია და კარგია ეს მისი შვილისთვის. უნდა ვუთხრათ, რომ ბავშვი, რომელიც გუნდში მღერის, მჩაგვრელი, სულმდაბალი, ეგოისტი ადამიანი ვერ იქნება. ასე მგონია, რომ ხალხური სიმღერის დროს გუნდში გვერდიგვერდ დგომა, გუნდურობას, კოლექტივში მუშაობასა და ადაპტირებას აჩვევს ბავშვს. უნდა სჯეროდეთ მშობლებს, რომ ქართული ხალხური სიმღერა და გალობა უკეთეს ადამიანებად ჩამოაყალიბებს ჩვენს მომავალ თაობას. აქ დევს ისეთი სიბრძნე, რასაც ჩვენ ვერ ვშიფრავთ.“**

განვლილი წელი შეაჯამა ანსამბლის ხელმძღვანელმა, **ნიკოლოზ შანშაშვილმა:** „პანდემიიდან გამომდინარე, მოგეხსენებათ, რომ წინა წლებში არ შეგვეძლო საჯარო კონცერტებსა თუ გასვლით ღონისძიებებში მონაწილეობა. თუმცა, წლევანდელი წელი მუსიკალურად საინტერესო და მეტად დატვირთული აღმოჩნდა. მონაწილეობა მივიღეთ ადგილობრივ თუ გასვლით კონცერტებში, სადაც გუნდმა დიდ წარმატებას მიაღწია. ჩვენი სკოლის საანგარიშო კონცერზე ანსამბლი 17 ნომრით წარდგა. გაწერილი პროგრამის მიხედვით, მთელი ქვეყნის მასშტაბით გვქონდა გამოსვლები. ამ კონცერტმა დიდი გამოცდილება მისცა გუნდს. მონაწილეობა მივიღეთ ეროვნულ საგუნდო კონკურსშიც, სადაც ორი საპრიზო ადგილი ავიღეთ - ოქრო და ბრინჯაო. ბოლოს, სულ ცოტახნის წინ, ჩატარდა სალოტბარო სკოლების საანგარიშო კონცერტი, სადაც ჰ.გონაშვილის სახ. ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლის გაერთიანებული გუნდი წარდგა კონსერვატორიის დიდ სცენაზე. მიმაჩნია, რომ მეტად აქტიური წელი გვქონდა და დიდი გამოცდილება მიიღო გუნდმა ამ წარდგენებით. ამისთვის კი უდიდესი მადლობა ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, ქ-ნ თამარ თამაზაშვილს, ბატონ დავით ცინცაძეს, ქ-ნ ლალი აზარიაშვილს გვერდში დგომისთვის. რაც შეეხება 2023 წელს, გვაქვს უფრო დიდი მოლოდინები. გვინდა აუდიოდისკის ჩაწერა, რასაც დიდი მუშაობა და ძალისხმევა სჭირდება. მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა და ეს პირველად მოხდება ჩვენი სკოლის არსებობის ისტორიაში. ამ შესაძლებლობისთვის მინდა დავით ცინცაძეს გადავუხადო მადლობა. დაზუსტებით ვერ გეტყვით რამდენი სიმღერა ჩაიწერება, მაგრამ შესული იქნება სოლო კონცერტის პროგრამაც და ახალი რეპერტუარში არსებული სიმღერები. ვისარგებლებ შემთხვევით და მოგილოცავთ ყველას ახალ 2023 წელს. წარმატებებსა და წინსვლას გისურვებთ“.

კითხვაზე, თუ რა მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა სკოლაში 2022 წელს, ქალბატონი ლალი გვპასუხობს: **„წელს ჩვენს სკოლაში მეტად მნიშვნელოვანი პროეტი განხორციელდა საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონ დავით სონღულაშვილის ინიციატივითა და დედოფლისწყაროს მერის ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილის მხარდაჭერით. ჩვენი მუნიციპალიტეტის ექვს სოფელში ბავშვებს მიეცათ შესაძლებლობა ადგილზე უფასოდ შეისწავლონ ქართული გალობა და სიმღერა ჩვენი სკოლის მაღალკვალიფიციურ პედაგოგებთან: ლექსო გრემელაშვილთან არბოშიკსა და ზემო მაჩხაანში, ანა ლოლაშვილთან ზემო ქედში, ქვემო ქედსა და არხილოსკალოში, ნიკა შანშაშვილთან - სამთაწყაროში. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ამ პროექტის განხორციელებისთვის ბატონ დავით სონღულაშვილს და ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს. გარდა ამისა, 2023 წელს დიდი მოლოდინებითა და გეგმებით ვხვდებით. გვსურს აუდიო დისკის ჩაწერა, რომელიც აქამდე ჯერ არ გვქონია. დეკემბერშიც გვსურდა მუშაობის დაწყება, მაგრამ ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ შევძელით. ჩვენთვის 2023 წლის მთავარი მოვლენა სწორედ ეს იქნება - ყველაზე განსსხვავებული, რაც აქამდე გვიკეთებია და რასაც ძალიან ველოდით. იმედი გვაქვს, რომ გაზაფხულზე უკვე შევძლებთ ამ იდეის განხორციელებას. შემდეგ აუცილებლად იქნება საანგარიშო კონცერტი და შევხედავთ რომელ ფესტივალებსა და კონცერტებზე მოგვიწვევს გამოსვლა.**

ბოლოს, მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენს მთავრობას ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებისთვის. მინდა, მადლობა ვუთხრა აღგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს იმ აღმშენებლობისათვის, რაც ჩვენს ქალაქში ხდება. ფაქტია, რომ დღითიდღე მშვენდება დედოფლისწყარო. ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი სკოლის კოლექტივს გვერდში დგომისათვის!

ჩვენს ქვეყანას მშვიდობასა და სტაბილურობას ვუსურვებ, ჩვენს ხალხს კი შობა-ახალი წლის მოგრძანებას ვულოცავ. უფლის წყალობა, ხვავი და ბარაქა არ მოჭკლეგოდეს თქვენს ოჯახებს, ჩემო ქვირფასებო!

ჟუჟუნა ყანჩაშვილი
ხათუნა ბენაშვილი

როგორი იყო 2022 წელი საჯარო სკოლებში

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო სექტორში 2022 წელს აჯამებენ. რა პრობლემების დაძლევა მოუხდა სკოლებს პოსტპანდემიურ პირობებში და რა გაკეთდა სასწავლო პირობების გასაუმჯობესებლად. წინ კვლავ დიდი გამოწვევებია – ახალი სკოლების მშენებლობა, დირექტორობის მსურველთა კონკურსი. გაზეთი „შირაქი“ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ახალ ხელმძღვანელს ესაუბრა.

მაკა ჯანაშვილი: 2022 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლებისთვის დადებითად შევაჯამებდი. დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული 15 საჯარო და წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის კერძო სკოლა მიმართულია მოსწავლეების განათლების დონის ამაღლებაზე. თითოეული სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე, სწავლების ხარისხის ამაღლებაზე. ეს წელი გამორჩეული იყო თუნდაც იმიტომ, რომ მოსწავლეები დაუბრუნდნენ სასწავლო გარემოს. დისტანციური სწავლება სრულად ჩანაცვლდა პირისპირ სწავლებით, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სწავლის ხარისხი. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლაში ჯამში 2693 მოსწავლეა. ჩატარდა ბევრი ისეთი აქტივობა, რამაც მოსწავლეთა სწავლა-განათლების და განვითარების საქმეში დიდი როლი ითამაშა. იყო სპორტული მიღწევებიც, ჩვენი მოსწავლე მსოფლიო ჩემპიონიც კი გახდა.

– როგორია პედაგოგთა კვალიფიკაცია დედოფლისწყაროში, რა შეგიძლიათ თქვათ, საერთო ჯამში მათი სტატუსის შესახებ?

– მასწავლებლის კვალიფიკაცია რეგულირდება კარიერული წინსვლის სქემის შესაბამისად. მასწავლებლის კარიერული საფეხურები აღარ მოიაზრებს პრაქტიკოსის სტატუსის პედაგოგს. იერარქიულად ყველაზე დაბალია უფროსი მასწავლებლის სტატუსი. რაც შეეხება დღეს არსებულ მოცემულობას, დედოფლისწყაროს საჯაროს სკოლის პედაგოგებთან დაკავშირებით, მოგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლის პედაგოგების საერთო რაოდენობიდან უფროსი მასწავლებლის სტატუსი მინიჭებული აქვს 305 მასწავლებელს, 55 წამყვანი მასწავლებელია, 1 მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებელი გვყავს. სტატუსის ასამაღლებლად მასწავლებლები მუდმივად შრომობენ. 2022 წლის ზაფხულში წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესაბამისი პროფესიული უნარების გამოცდაზე გავიდა პედაგოგების უმრავლესობა, უმეტესმა მათგანმა ჩააბარა გამოცდა. ამ პერიოდისთვის გამოცდა ჩაბარებული მასწავლებლების მხრიდან მიმდინარეობს აქტიური მუშაობა მათი პორტფოლიოს სრულყოფისთვის. მასწავლებლის პორტფოლიო ფასდება მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ამ მონაცემების საფუძველზე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დედოფლსწყაროს საგანმანათლებლო სექტორს მასწავლებლების სახით ჰყავს ობიექტური, სამართლიანი, და რაც უმთავრესია, პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული მასწავლებლები, რომლებიც ყველა მოსწავლისათვის სასურველი და მისაღებია.

ახლახან გაირკვა, რომ გამორჩეულ პედაგოგს, ხორნაბუჯის საჯარო სკოლის რუსული ენა-ლიტერატურის მასწავლებელს ქ-ნ ვიოლეტა დავთიანს „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ გადაწყვეტილებით, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა. ვულოცავ ამ დიდ ჯილდოს და ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს.

– წელს რამდენმა ვერ შეძლო კვალიფიკაციის დადასტურება და რამდენმა დატოვა სკოლა?

– მიუხედავად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მაქსიმალური მხარდაჭერისა, მასწავლებელთა კარიერული წინსვლის სქემის შესაბამისად, 2019 წლიდან საკმაოდ ბევრი შესაძლებლობა მიეცათ პრაქტიკოს მასწავლებლებს, დაედასტურებინათ კვალიფიკაცია, თუმცა, სამწუხაროდ დედოფლისწყაროს მასშტაბით 4 პედაგოგმა ვერ დაადასტურა სტატუსი.

– რა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა დედოფლისწყაროს სკოლებში? ჩამოვთვალოთ როგორც მსხვილი, ისე წვრილი სამუშაოები...

– მოგეხსენებათ, განათლების ხარისხის გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია ისეთ სკოლასთან, სადაც არის თანამედროვე სტანდარტი. საგანმანათლებლო სფეროს განვითარებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პირობების შექმნა, ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი რომ არის, ჩვენ ამას ვხედავთ და ვგრძნობთ.

2022 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობდა და კვლავაც მიმდინარეობს.

წელს ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოხდა ელექტრო გაყვანილობის რეაბილიტაცია. სრულად გამოიცვალა ელ.ქსელი. ასევე დასრულდა გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები. სკოლაში გამართულია ელექტროენერგიის მომარაგების და ბუნებრივი აირით გათბობის საკითხი. ასევე, ზემო ქედის №1 საჯარო სკოლაში სრულად გამოიცვალა ელექტროგაყვანილობის ქსელი. სამრეკლოს საჯარო სკოლაში მოხდა სკოლის ეზოს ნაწილობრივი შემოღობვა.

მიმდინარეობს სამთაწყაროს საჯარო სკოლის შენობის სრული რეაბილიტაცია. პროცესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დედოფლისწყაროს თვითმმართველობის ზედამხედველობით ხორციელდება. მშენებლობა თითქმის დასასრულს უახლოვდება და მალე სოფელს ექნება თანამედროვე სტანდარტით აღჭურვილი სკოლა. მოეწყობა თანამედროვე ლაბორატორიები, გაიმართება სპორტული ინფრასტრუქტურა, სკოლა ადაპტირებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. მსგავსი სტანდარტის სკოლა შენდება სოფელ ოზაანშიც, რომელიც უნდა დასრულდეს 2024 წელს.

აქტიურად მიმდინარეობს ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დემონტაჟის სამუშაოები, რის შემდგომაც ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყება. ასევე, განათლების სამინისტროს ქვეპროგრამის ფარგლებში, სკოლები სრულად აღიჭურვა სამედიცინო სივრცისთვის საჭირო ყველა ინვენტარით.

ახლახან, საბათლოს საჯარო სკოლაში საქართველოს ბანკის მხარდაჭერით გაიხსნა მულტიფუნქციური ბიბლიოთეკა - იდეათეკა. სივრცე აღიჭურვა კომპიუტერებით, წიგნებით და სხვა შემეცნებითი საშუალებებით. კიდევ უფრო მეტ მოსწავლეს მიეცა შესაძლებლობა, ჰქონდეს წვდომა თანამედროვე ტექნოლოგიებზე. სივრცე მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ როგორც გაკვეთილების, ასევე ჯგუფური პრეზენტაციების თუ სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად გამოიყენება.

– როგორი იყო ეს წელი აბიტურიენტებისთვის?

– 2021-22 სასწავლო წელი დაამთავრა 191-მა მოსწავლემ. აქედან 115 გახდა სტუდენტი. პროცენტულ მაჩვენებელში ეს დაახლოებით 60% იქნება.

– შეინიშნება თუ არა მედალოსანთა რაოდენობის ზრდა?

– 2020-2021 სასწავლო წელს მედალოსანთა რაოდენობა 27-ს შეადგენდა, ხოლო 2021-22 სასწავლო წელს სკოლის კურსდამთავრებულებიდან მუნიციპალიტეტის სკოლებში 35 ოქროს და ვერცხლის მედალოსანი გყვავს.

– იმის გათვალისწინებით, რომ სკოლის დირექტორებს უფლებამოსილების ვადა ამოწურათ, დირექტორობის კონკურსზე რამდენად აქტიურობენ კანდიდატები?

– განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად, დაწყებულია საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა სერთიფიცირების პროცესი. სამინისტრო მხარდაჭერას უცხადებს ყველა მსურველს. მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდა 2022 წლის 24 ოქტომბრიდან 4 დეკემბრის ჩათვლით. როგორც ცნობილია, რეგისტრაციის ვადა კიდევ გაგრძელდა. ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლის დირექტორებიდან ნამდვილად იგრძნობა აქტიურობა, მზაობა და სურვილი საიმისოდ, რომ კვლავ გააგრძელონ ისეთი საპასუხისმგებლო საქმიანობა, როგორიც სკოლის დირექტორობაა. ჯერ გამოცდის თარიღი არ დაანონსებულა, შესაბამისად, დირექტორის კონკურსთან დაკავშირებით მეტს ვერაფერს ვიტყვი.

დასასრულ, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველა იმ სტრუქტურას და ადამიანს, ვინც მთელი წლის განმავლობაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად მხარდაჭერა გამოუცხადა სკოლებს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ ნუგზარ პაპიაშვილს. ასევე, ყველა იმ ხელმძღვანელ პირს, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული სკოლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტასა და მოგვარებაში.

ახალი სტანდარტები და უსაფრთხო გარემო საბავშვო ბაღებში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის წლიური ანგარიშის შესახებ გაზეთ„შირაქს“ ცენტრის დირექტორი ესაუბრა.

ირმა ჯანაშვილი: „წელს დედოფლისწყაროს სკოლამდელ და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრს ჰქონდა ბიუჯეტი - ორი მილიონ ასი ათასი ლარის ოდენობით. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 17 საბავშვო ბაგა-ბაღში პანდემიიდან გამომდინარე სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი განახლდა 2022 წლის 28 თებერვლიდან. მონიტორინგის ჯგუფის მეშვეობით ხორციელდებოდა კონტროლი შემდეგი მიმართულებით: სასწავლო-სააღმზრდელო, კვებისა და ნაშთების, სანიტარულ-ჰიგიენური და სხვა. სასწავლო პროცესის მონიტორინგისთვის გამოიყენება დაუგეგმავი ვიზიტი ბაღებში.

დღეისათვის კადრები ახალი სტანდარტის შესაბამისადაა გადამზადებული, რამაც ხელი შეუწყო თითოეული პედაგოგის კვალიფიკაციის ამაღლებასა და ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მიწოდებას. ასევე, „სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის“ დანერგვის ხელშეწყობის მიზნით გაეროს ბავშვთა ფონდის მეშვეობით შეიქმნა „სასკოლო მზაობის პროგრამის აღმზრდელის გზამკვლევი“, რომელიც მიზნად ისახავს სკოლამდელი ასაკის ბავშვის სკოლისათვის უკეთესად მომზადებას, რაც ასევე, დანერგილია დედოფლისწყაროს 17 საბავშვო ბაღსა და ბაგა-ბაღში. მეთოდისტების მითითებით ყველა აღმზრდელი და აღმზრდელის თანაშემწე ონლაინ ესწრება ვებინარებს შემდეგ თემაზე „სკოლამდელი განათლება ყველა ბავშვს“. მოისმინეს ონლაინ ტრენინგი თემაზე „ბილინგვური სწავლება“.

2022 წლის აპრილის თვეში დირექტორებსა და მზარეულებს გაეცნოთ **HACCP** - ის პროგრამის დანერგვის გზები. ყველა ბაღში შეიქმნა **HACCP**-ის საკოორდინაციო ჯგუფები (დირექტორი, ექთანი, მზარეული, მზარეული თანაშემწე). შემუშავდა სამუშაო გეგმა, ბაღები აღიჭურვა პროგრამით გათვალისწინებული ინვენტარით. **HACCP**-ის პროგრამის დანერგვისათვის აუცილებელია უსაფრთხო წყალი, რომლის ანალიზს ვახდენთ ყოველწლიურად, ხოლო სოფელ არბოშიკისა და ფიროსმანის ბაღებში - წელიწადში ორჯერ. შედეგები გამოკრულია სამზარეულოს კედელზე.

- ბოლო წლებში საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალი მიდგომა დაინერგა, შშმ ბავშვების განცალკევება აღარ ხდება და ისინი სკოლებსა და ბაღებში ირიცხებიან და მათზე სპეცმასწავლებლები ზრუნავენ...

- 2021-2022 წლის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი დაასრულა 1 შშმ მოსწავლემ და განხორციელდა მისი ტრანზიცია სკოლაში. 2022 წლის სექტემბრიდან მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში ირიცხება 4 შშმ და 7 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი. მათთვის შედგენილია ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმა, გაცემულია რეკომენდაციები აღმზრდელებისა და მშობლებისათვის. ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და ფსიქოლოგი ონლაინ ისმენენ ვებინარებს „სკოლამდელი განათლება ყველა ბავშვისთვის“. 2022 წლის დასაწყისში შშმ პირებისთვის შედგა „სამოქმედო გეგმა“ გზამკვლევის „ბაღები პანდემიის დროს“ საფუძველზე. პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების მისაწვდომობის მიზნით შშმ და სსსმ პირის მშობლებისთვის დაიბეჭდა საინფორმაციო ბროშურა. ვიზუალურ მასალაზე დაყრდნობით შედგა საინფორმაციო ბუკლეტი ბავშვებისათვის უსაფრთხოების წესების შესახებ. შედგა და განხორციელდა შშმ და სსსმ პირების ინდივიდუალური გეგმები, რომლის მიმდინარეობის პროცესს მონიტორინგს უწევდა ცენტრის ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და ფსიქოლოგი.

2022 წლის იანვრიდან სააღმზრდელო ცენტრის ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტის მუშაობა ძირითადად მიმართული იყო კოვიდინფექციის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების გატარებისკენ. სააღმზრდელო პროცესის განახლებისათვის თებერვალში მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღები ყველა რეგულაციის დაცვით აღიჭურვა. მოხდა შენობების დეზინფექცია, ჩატარდა ონლაინ ტრენინგები ექთნებთან. თვეში ორჯერ ტარდებოდა ყველა ბაღის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმება. უსაფრთხო გარემოს შესანარჩუნებლად მოეწყო მეთოდური შეხვედრები დირექტორებთან, ექთნებთან. რეგულაციების მოხსნამდე თვეში ორჯერ ტარდებოდა თანამშრომელთა კოვიდ ტესტირება, ასევე დაავადებული აღსაზრდელების და თანამშრომლების მონიტორინგი. კოვიდ საწინააღმდეგო ვაქცინით აცრილია თანამშრომელთა 92%. ბაგა-ბაღებში 2022-23 წლის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი განახლდა 2022 წლის 19 სექტემბრიდან 17 საბავშვო ბაგა-ბაღით და 704 აღსაზრდელით. სექტემბრის ბოლომდე (რეგულაციების მოხსნამდე) წერტილოვანი ჩაკეტვები საბავშვო ბაღის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში კოვიდ ინფექციის დადასტურების შემთხვევაში ხდებოდა.

- თქვენს შემადგენლობაშია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი...

- ქალაქ დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი 2022 წლის იანვრიდან დღემდე პანდემიის გამო იმყოფება დისტანციური სწავლების რეჟიმზე. ამის მიუხედავად ისევ მუშაობს 11 წრე. შექმნილი მდგომარეობის პირობებში ჩატარდა ინტერნეტ აქტივობები და ღონისძიებები: დისკუსია ეკოლოგიაზე – „გადავარჩინოთ პლანეტა“. დაასუფთავეს ელიის მიმდებარე ტერიტორია და ასევე შეამცირეს ელ. ენერგიის მოხმარება და გაზომეს დანაზოგი. მიმდინარეობდა მუშაობა შემეცნებითი უნარების განვითარებაზე ლოგიკური და მათემატიკური დავალებებით, „სტარტაპერი“ – ბავშვებმა შეიმუშავეს ბიზნეს გეგმა, შეისწავლეს ბაზარი და წარმოადგინეს პრეზენტაციის სახით. შემაჯამებელი და შემეცნებითი მეცადინეობები ტარდებოდა ინგლისურ და რუსულ ენებში. სიმღერებისა და საგალობლების შესწავლა. კონკურსი ხატვით - „იცოცხლე, დედამინავ“. ჩატარდა სოლიდარობის აქცია უკრაინელი ბავშვების მხარდასაჭერად და მინი-ტურნირი ჭადრაკში. ასევე, სასწავლო დაზგაზე ფარდაგის ტექნოლოგიით და ორნამენტებით საფულეების და მძივებით გაფორმებული ნამუშევრების შექმნა ისწავლეს. ჩატარდა ფულის გონივრული ხარჯვის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი ლექცია „ხარჯე გონივრულად“. მხატვრული კითხვის კონკურსი - „არ გაჩერდე, გააგრძელე საქართველოს ისტორია“.

გვერდი მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

„მუნიციპალიტეტი მუდმივად ცდილობს თავისი მოქალაქეების მხარდაჭერას“

2022 წელი საკმაოდ დატვირთული, ეფექტური და ერთ-ერთი კარგი წელი აღმოჩნდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურისთვის. როგორც მისი ხელმძღვანელი, დოდო ხუნაშვილი გაზეთ „შირაქთან“ ინტერვიუში აცხადებს, „გასული წელი მუნიციპალიტეტისთვის, სოციალური დახმარების პროგრამების განხორციელების მიმართულებით, საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა.“

დოდო ხუნაშვილი, **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:** „2022 წელი ჩვენი პროგრამების დაფინანსების კუთხით საუკეთესო წელი იყო. მოგეხსენებათ, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში, განხორციელდა რეორგანიზაცია სტრუქტურულ სამსახურებში. ეს რეოგრანიზაცია, ოღონდ დადებითი კუთხით, ჩვენს სამსახურსაც შეეხო. დაგვემატა კიდევ ერთი - ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, რომელიც სამომავლოდ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იფუნქციონირებს, განახორციელებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. პროგრამის ფარგლებში მოხდება სოციალურად დაუცველი ბავშვების, მათი ოჯახების იდენტიფიცირება და შესაბამისად, სამომავლოდ, 2023 წელს ჩვენი პროგრამებითაც მოხდება ამ ოჯახების მხარდაჭერა და გაძლიერება.

2022 წლის ბიუჯეტი 749,900 ლარი იყო. 2023 წელს ეს თანხა გაიზრდება და შეადგენს 778,600 ლარს. რა თქმა უნდა, ეს მისასალმებელია იმ კუთხით, რომ უფრო ფართო მასშტაბით გავრცელდება ჩვენი სოციალური დახმარების პროგრამები და შესაბამისად, უფრო ფართო მასები მიიღებენ დახმარებას. 2022 წელი ჩვენი პროგრამების ათვისების კუთხით წარმატებით დავასრულეთ. განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამა და მისი ბიუჯეტი. პროგრამა თავის მხრივ მოიცავდა 14 ქვეპროგრამას, რომლითაც ფინანსდებიან: მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა მშობლები, შშმ პირები, ჰემოდიალეზზე მყოფი პაციენტები, რომლებსაც ვაფინანსებთ ტრანსპორტირების ხარჯით, 18 წლამდე ასაკის შშმ პირები და ა.შ.

-გვესაუბრეთ, 2022 წელს ამ ქვეპროგრამების ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობასა და შედეგებზე...

ცნობილია, რომ ქალაქ დედოფლისწყაროში ფუნქციონირებს 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მომსახურების ცენტრი, რომლითაც რეაბილიტაცია/აბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული შშმ პირები სარგებლობენ. პირველ ეტაპზე, როდესაც ამ პროგრამის განხორციელება დავიწყეთ, სულ გვყავდა 5 შშმ პირი, მაგრამ როდესაც ოჯახებამდე ამ ცენტრის შესახებ მივიდა ინფორმაცია, დაიმსხვა ის მიდგომაც, რომ შშმ პირები მხოლოდ სახლში უნდა ყოფილიყვნენ. ჩვენ ყველანაირად მხარს ვუჭერთ, მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას. აუცილებელია, რომ ისინი სოციუმის ისეთივე წევრებად ვაქციოთ, როგორიც დანარჩენი მოქალაქეები არიან. მათ შპს „მზე“-ს თანამშრომლები უწევენ შესაბამის დახმარებას, რათა ამ ადამიანებმა წინ გადადგან ნაბიჯი, ისწავლონ, დაინტერესდნენ. ეს დიდი მიღწევაა როგორც ბავშვისთვის, ასევე მშობლისთვისაც. 2022 წელს 19-მა ბენეფიციარმა ისარგებლა ამ პროგრამით.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში გარდაცვლილთა ოჯახებს ვუწევთ ერთჯერად ფულად დახმარებას. ვინაიდან ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას ვზეიმობთ 26 მაისს, შესაბამისად, ამ დროისთვის გავცემთ დახმარებას 1000 ლარის ოდენობით. გვყავს მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებიც, რომლებიც აქამდე 18 იყვნენ, მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ადამიანია დღეს მათ რიგებში. ამ ადამიანზე გაწერილი გვაქვს ერთჯერადად 250 ლარის ოდენობის დახმარება.

ჩვენ გვაქვს ასევე სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ბინის ქირით უზრუნველყოფის ხელშეწყობის პროგრამა, სადაც ჩართულები არიან სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარები, მათ შორის უსახლკარო პირები, სტიქიით, ხანძრით, მიწისძვრით, ბუნებრივი კატასტროფით, სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებული ოჯახები და ისეთი ადამიანები, რომელთა საცხოვრებელი სახლი საკმაოდ დაზიანებულია და საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს. 2022 წელს ამ კატეგორიაში გაერთიანებული იყო 15 ბენეფიციარი. ასევე გვაქვს 100 და 100 წელზე ზევით ხანდაზმული მოქალაქეების ფულადი მხარდაჭერა. ჩვენს მუნიციპალიტეტს ასეთი ერთ ადამიანი ჰყავდა (ზემო მაჩხაანიდან).

-რომელ ქვეპროგრამაში იყრის ყველაზე მეტი ბენეფიციარი თავს?

2022 წელს ამ ქვეპროგრამებიდან, ყველაზე მეტი ბენეფიციარი (800) პროცენტულად და რიცხვობრივად თავს იყრის იმ პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოქალაქეების გათბობის ხარჯების უზრუნველყოფას. ეს არის ერთჯერადი ფულადი დახმარება, 100 ლარის ოდენობით. რა თქმა უნდა, აქაც განსაზღვრული გვაქვს, ის თუ ვის შეიძლება ერგოს ფულადი დახმარება და ვინ აკმაყოფილებს გარკვეულ წესებს.

2022 წელს გვყავდა ჰემოდიალეზზე მყოფი 5 ბენეფიციარი, რომლებსაც ვუნაზღაურებთ გურჯაანის მუნიციპალიტეტში ტრანსპორტირების ხარჯებს, სადაც იღებენ შესაბამის სამედიცინო მომსახურებას.

-როგორია შობადობის მაჩვენებელი და თუ ითვალისწინებს რომელიმე ქვეპროგრამა ახალდაბადებული ბავშვების ოჯახებისთვის გარკვეულ დახმარებას?

ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარება გათალისწინებულია. ახალშობილებს, რომელთა მშობლები რეგისტრირებულნი არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ყველას ეძლევა უფლება მიიღოს ერთჯერადი ფულადი დახმარება 300 ლარის ოდენობით. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ წინა წლებში გაცილებით მეტი ახალშობილი გვყავდა. წელს ძალიან გულდაწყვეტილები ვართ შობადობის შემცირების გამო. 2022 წელს დავაფინანსეთ 116 ბავშვი, მაგრამ წინა წლებში 200-საც გადავცდენილვართ.

-სხვადასხვა სამსახურებთან თანამშრომლობის კუთხით როგორი წელი გქონდათ?

ჩვენთან ვეტერანები შეკითხვებით, თხოვნით, განცხადებებით მოდიან. აქედან გამომდინარე, წელს ჩვენ ძალიან აქტიურად ვითანამშრომლეთ ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტთან. მათთან ძალიან მჭიდრო კონტაქტები გვაქვს. ვინაიდან ასეთი „დასახარბებელი“ ურთიერთობა გვქონდა, სავარაუდოდ ალბათ, სხვა მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით, ჩვენი ვეტერანებისთვის უფასო კვლევები დაიგეგმა და განხორციელდა. ეს კვლევები 2022 წლის ოქტომბერში ჩატარდა. ჩამოვიდნენ ქვეყნის წამყვანი კლინიკებიდან, საუკეთესო აპარატურით, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები - ენდოკრინოლოგები, ქირურგები და ა.შ. ეს ფაქტი ძალიან მისასალმებელია. ვფიქრობ, მოსახლეობისთვის ეს ერთგვარი მხარდაჭერაა ჩვენი და მუნიციპალიტეტის მხრიდან. ასევე აქტიურად ვთანამშრომლობთ წითელ ჯვართან. მათ 2022 წლის მაისის თვეში ჩაატარეს საკმაოდ დიდი სოციალური აქცია, როდესაც 108 მრავალშვილიან და მარჩენალდაკარგულ ოჯახზე გაიცა 58 დასახელების 1700 ნივთი. რა თქმა უნდა, ეს წითელი ჯვრის დაფინანსებით იყო, მაგრამ ჩვენ ძალიან აქტიურად ვიყავით ჩართულები როგორც ერთიანი საინფორმაციო ბაზების შექმნის, ასევე ადამიანური რესურსის მობილიზების პროცესში.

– წლის განმავლობაში რამდენი ქვეპროგრამა განახორციელეთ და რომელი მათგანი გამოდგა ყველაზე მნიშვნელოვანი?

წლის განმავლობაში განვახორციელეთ 14 დასახელების ქვეპროგრამა. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი წელი გამოდგა. ვაფინანსებთ ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტებისა და ექვსწლამდე ბავშვთა სამედიცინო მომსახურებას, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე (შეზღუდვებში იგულისხმება ის კრიტერიუმები, რომელიც განსაზღვრავს, თუ რამდენადაა სოციალურად დაუცველი ესა თუ ის ადამიანი, რამდენია მისი სარეიტინგო ქულა, ჩვენ მაგალითად, 150,000-მდე გვაქვს ზედა ზღვარი აწეული). მომართვის შემთხვევაში სახელმწიფოს ტარიფში ვუფინანსებთ ნარჩენ ღირებულებას. ონკო პაციენტებისა და ექვსწლამდე ბავშვთა დაფინანსებისას მსგავსი შეზღუდვები მოხსნილი გვაქვს, გარდა ჩვენი წესისა - 300 ლარამდე თანხას ვუფინანსებთ ჩვეულებრივ, სამასი ლარის ზემოთ რა თანხაც არის მოთხოვნით გათვალისწინებული, ვუფინანსებთ 50%-ს, არაუმეტეს 500 ლარისა. თითქმის კვირაში ერთხელ ვატარებთ სამედიცინო დახმარების კომისიის სხდომას. მაღალი მომართვიანობის შემთხვევაში, მათთვის ვისაც სწრაფად სჭირდება ჩვენგან საგარანტიო წერილი, ხშირად ყოფილა შემთხვევები რომ კვირაში ორჯერაც განხილულა ეს საკითხი. შესაბამისად, არ მგონია, რომ ჩვენთან ვისაც თხოვნით მოუმართავს, უკმაყოფილო დარჩენილიყოს.

-ახალი ქვეპროგრამაც ხომ არ შემუშავებულა ამ წლის განმავლობაში?

მინდა აღვნიშნო, რომ პირველი დეკემბრიდან სატესტო რეჟიმში ამოქმედდა დაფინანსების ახალი რეგულაციები სამედიცინო მომსახურების კუთხით. ჩვენმა მთავრობამ მოახერხა ის, რომ აბსოლუტურად ყველგან გაათანაბრა მომსახურების ფასები, რაც ნიშნავს იმას, რომ ყველა კლინიკა იმუშავებს სახელმწიფო ტარიფით. პირველი იანვრიდან ვფიქრობ, ამ კუთხით არაფერი შეიცვლება. ერთი და იგივე სამედიცინო მომსახურება სხვადასხვა კლინიკაში ღირდა სხვადასხვა ფასი. მომსახურების მიღებისას, სახელმწიფოს გარკვეული პროცენტის დაფინანსების შემდეგ, მოქალაქეს უწევდა როგორც ნარჩენი ღირებულების გადახდა, ასევე კლინიკის მიერ განსაზღვრული ტარიფის გადახდაც. ეს ძალიან მნიშნელოვანი გადაწყვეტილებაა. ჩვენთვისაც, შესაბამისად, გაიოლებულია პროცედურები. მაგრამ, ეს უპირველესად მოქალაქის ჯიბეზე აისახება, მათი კეთილდღეობისთვის ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია. სამედიცინო მომსახურების დაფინასნების/თანადაფინანსების მიზნით, მთელი წლის განმავლობაში, 268 მოქალაქეს მივეცით საგარანტიო ფურცელი.

-რა სახის დახმარებით სარგებლობენ მრავალშვილიანი ოჯახები?

მრავალშვილიანი ოჯახები სარგებლობენ როგორც ყოველთვიური ფულადი დახმარებით, ასევე ერთჯერადი დახმარებებითაც. მრავალშვილიანის სტატუსის მიღების შემთხვევაში, ჩვენგან თითოეულ ბავშვზე, ასეთი ოჯახი, 50 ლარს მიიღებს. აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ჩვენთან არიან აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებიც. მათთვის გათვალისწინებული გვაქვს ერთჯერადი ფულადი დახმარება. გარდა ამისა, ოჯახიც იღებს ერთჯერადად 500 ლარს. მომავალი წლიდან ისევ ძალაში იქნება ეს პროგრამა და წლის ნებისმიერ დროს შეუძლიათ მოგვმართონ და ისარგებლონ. ვადები დადგენილი არ არის.

– ბენეფიციარებს, ალბათ, დასჭირდებოდათ დახმარება ელექტროენერგიასა და ბუნებრივ აირზეც...

დიახ, გვაქვს ყოველთვიური ფულადი დახმარებები ელექტროენერგიასა და ბუნებრივ აირზე. რამდენიმე კატეგორია შედის მიმღებთა შორის, სადაც მრავალშვილიანი ოჯახები ერთ-ერთ მიმღებ ჯგუფს წარმოადგენენ. იშვიათი პროგრამაც გვაქვს - გლუტეინისადმი მგრძნობიარე „ცელიაკიას დიათეზით“ დაავადებული არასრულწლოვანი ბავშვებისთვის სპეციალური საკვები პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება, რომლითაც 2 ბენეფიციარი სარგებლობს. ამისთვის, თვეში გათვალისწინებულია 150 ლარის ფინანსური დახმარება. ეს პროგრამა 2021 წელს დაემატა, მაგრამ წელსაც აქტიურად განვახორციელეთ.

– სულ რამდენი ბენეფიციარი გყავდათ 2022 წელს და განსაკუთრებით რომელ პროგრამას გამოყოფდით?

დღესდღეობით, გვყავს 1540 ბენეფიციარი, რომელმაც 2022 წელს ჩვენი ბენეფიტებით ისარგებლა. ამ წლის ღირსებად შეიძლება ჩავთვალოთ ბინის ქირებზე დაფინანსების გაზრდა. აქამდე ვუხდიდით თვეში 60 ლარს, მაგრამ ის 100 ლარამდე გავზარდეთ. შესაძლებელია, რომ მომავალ წელსაც გავითვალისწინოთ და ბენეფიციართა მხარდაჭერის მიზნით განვიხილოთ მისი გაზრდა. თუმცა, ეს 2022 წლის ბიუჯეტში დადებითად შეიძლება შეფასდეს. აქვე გეტყვით, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად საახალწლო საჩუქრები გადასცა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველაზე დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოცდაათ მრავალშვილიან ოჯახს. საქველმოქმედო აქცია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა თვითმმართველობამ შპს „რონთან“ ერთად განახორციელა.

-საბოლოოდ, როგორ შეაფასებდით 2022 და რას ისურვებდით 2023 წელს?

ვფიქრობ, წარმატებული წელი გვქონდა. მიმაჩნია, რომ გავართვით თავი იმ გამოწვევებს, პრობლემებს, რომელიც გვქონდა. მართალია ეს ყველაფერი არ არის, ბენეფიციართა მოთხოვნებთან შედარებით, მაგრამ მუნიციპალიტეტი მუდმივად ცდილობს თავისი მოქალაქეების მხარდაჭერას.

მინდა მოგილოცოთ ყველას შობა-ახალი წელი, 2023 წელი ყოფილიყოს მშვიდობის, საქართველოს გამთლიანების, გაერთიანების, ჩვენი ქვეყნის გაძლიერების წელი. ხვავი, ბარაქა, სიკეთე და სიხარული მოეტანოს ახალ წელს.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

წითელი ჯვარი კვლავ ხალხის სამსახურში

ვაგრძელებთ ყოველწლიურ რუბრიკას-წლის შემაჯამებელი ანგარიშის თაობაზე და ვსტუმრობთ „წითელი ჯვრის ორგანიზაციას“.

საქართველოს „წითელი ჯვრის საზოგადოების“ დედოფლისწყაროს ორგანიზაცია 2016 წლიდან აქტიურად ფუნქციონირებს. ამ წლების განმავლობაში მათ უამრავი აქცია განახორციელეს მოსახლეობის მიმართვიანობის შესაბამისად. ყოველწლიურად მიმდინარეობს ათასობით მოქალაქის გასინჯვა სხვადასხვა პროფილის ექიმთა მიერ, ასევე აქტიურად ტარდება საქველმოქმედო ღონისძიებები. სწორედ მიმდინარე 2022 წელში განხორციელებული აქტივობების თაობაზე ესაუბრა „შირაქს“ ქ-ნი **ნათელა თამაზაშვილი,** რომელიც უკვე მეშვიდე წელია სათავეში უდგას ამ ორგანიზაციას: „მიმდინარე 2022 წელს ჩვენს სამედიცინო-საქველმოქმედო დაწესებულებაში 1889 პაციენტმა სხვადასხვა პროფილის ექიმთა მიერ მიიღო შესაბამისი მომსახურება. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენთან რამდენიმე პროფილის ექიმი მუშაობს: თერაპევტი, კარდიოლოგი, ოფთალმოლოგი, რადიოლოგი (ექოსკოპისტი), ანგიოლოგი და მე, თქვენი მონა-მორჩილი, გინეკოლოგი. ასე რომ, მთელი სპექტრია წარმოდგენილი და მაქსიმალურად ვუმსუბუქებთ ჩვენთან მოსულ თითოეულ ადამიანს როგორც ფიზიკურ, ასევე მენტალურ და მატერიალურ მდგომარეობას. უფრო მეტი სიცხადისთვის ახლა ჩამოვთვლი გარდა სამედიცინო მომსახურებისა, რა საქველმოქმედო ღონისძიებები განვახორციელეთ მიმდინარე წელს.

ჩვენი სამედიცინო ბრიგადა სრული აღჭურვილობით გახლდით ახმეტის რაიონში, სადაც ჩატარდა 157 პაციენტის მიღება-გასინჯვა, ონში-169 პაციენტს გავუწიეთ სამედიცინო დახმარება, ზემო აჭარაში (ქედას რაიონში) - 97 პაციენტი მივიღეთ, ხოლო ახალქალაქში 218 მოქალაქეს აღმოვუჩინეთ შესაბამისი სამედიცინო დახმარება. ჩვენ აგრეთვე საქველმოქმედო მისიის ფარგლებში დავეხმარეთ 22 უკრაინულ ოჯახს და საკვები პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების 22 ამანათი გადავეცით მუნიციპალიტეტის მერთან-ნიკოლოზ ჯანიაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან-ნუგზარ პაპიაშვილთან ერთად. დავეხმარეთ 30 მრავალშვილიან დედას და გადავეცით 30 ამანათი, 50 ამანათი გადავეცით 50 სოციალურად დაუცველ ოჯახს, ხოლო მარტოხელა პენსიონერებს 30 ამანათი მივართვით საჩუქრად, 40 ამანათით გავახარეთ შშმ პირები. პანდემიის გამო გვქონდა გარკვეულწილად შეფერხებებიც, სხვა წლებში 2-ჯერ მეტ პაციენტს ვემსახურებით. იმედი გვაქვს, რომ ამ ხარვეზს 2023 წელს აღმოვფხვრით. უამრავი სამედიცინო თუ საქველმოქმედო ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი 2023 წლისთვის და კიდევ უამრავი ჩვენი თანამემამულის პირობების გაუმჯობესებას ვაპირებთ.

ამ ყველაფრისთვის დიდი მადლობა ჩვენს ცენტრალურ სათავო ოფისს, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას და ჩვენს მერია-საკრებულოს სრული მხარდაჭერისთვის.

მინდა დიდი სიყვარულით და მომავლის იმედით 2023 წელი მივულოცო ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და სრულიად საქართველოს. მხოლოდ სიკეთის, ჯანმრთელობის, ხვავის, ბარაქის, მშვიდობის, ქვეყნის წინსვლისა და წარმატებების წელი გვქონოდეს.

ესაუბრა ელზა ხარაშვილი

„2022 წელი ნამდვილად დატვირთული იყო ჩვენთვის“

ბოლო რამდენიმე პანდემიური წლის განმავლობაში, აქტიური და მუდმივი მზადყოფნის პროცესშია დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი. იგი ძირითადად ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლი), იმუნიზაცია, ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან, დაავადების მაღალი რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯგუფის გამოვლენა და აღრიცხვა, რანდომიზებული კვლევის (თამბაქოს კონტროლი) განხორციელება მუნიციპალიტეტში ადგილობრივი კონტექსტის შესასწავლად. ამ და სხვა თემებზე სასაუბროდ და წლის შესაჯამებლად, გაზეთი „შირაქი“ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელს, მარიეტა გონაშვილს შეხვდა.

მარიეტა გონაშვილი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი: „2022 წელი ნამდვილად დატვირთული იყო ჩვენთვის. ეს გამოწვეული იყო კორონავირუსის შემთხვევების მატებით - ზამთარსა და შემოდგომაზე. 2021 წელთან შედარებით დიდი განსხვავება არ ყოფილა შემთხვევების გამოვლენის კუთხით. 3550 შემთხვევა დაფიქსირდა 2022 წელს. სამუშაო გრაფიკის სირთულეს ემატებოდა ის ფაქტიც, რომ გარდა ჯანდაცვის ცენტრში არსებული სამუშაოსი, გვემატებოდა გამოძახებები სოფლებში, იმ ადამიანებთან, ვისაც ფიზიკურად არ ჰყავდათ გვერდში მდგომი პირი. ჩვენი სამსახურის მანქანა ამ ადამიანებს 24 საათის განმავლობაში ემსახურებოდა. მაგალითად, ქედებს ზონაში დღეში რამდენჯერმე გვიწევდა ჩასვლა. შემდეგ იძულებული გავხდით, რომ დაგვემატებინა ტექნიკური რესურსი და რამდენიმე მანქანით მოვმსახურებოდით მათ. ასევე საჭირო გახდა კადრების დამატება და იმ ორი ლაბორანტის გარდა, რომლებიც მუშაობენ ჩვენთან, გადავამზადეთ და დავამატეთ მესამეც. სექტემბრიდან, როდესაც დაიწყო შემთხვევების საგრძნობი კლება, დავუბრუნდით მუშაობის ჩვეულ რეჟიმს. ტესტირებაზე მოთხოვნა მაინც არის, მაგრამ არა იმ სიხშირით, რა სიხშირითაც პანდემიის დროს გვიწევდა მუშაობა.

რაც შეეხება ვაქცინაციას. თავიდან საზოგადოება სკეპტიკურად შეხვდა აცრის იდეას, მაგრამ ვაქცინაციის წარმატებული პროცესის შემდეგ, ხალხი დარწმუნდა მის საჭიროებაში. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პანდემიის პერიოდში დაფიქსირდა 81 ადამიანის - მათ შორის ახალგაზრდების გარდაცვალების ფაქტი. ვაქცინაციის პროცესში ჩვენ შეფერხება არ გვქონია. ვაქცინით ყოველთვის ვიყავით უზრუნველყოფილნი.

პანდემიის დროს გარკვეულწილად, ყურადღების მიღმა დარჩა გრაფიკით ჩასატარებელი სტანდარტული აცრები. ამჟამად დავუბრუნდით სტანდარტულ, იმუნიზაციის პროცესის ზედამხედველობას. ჩვენ აქტიურად ვეკონტაქტებით სოფლის უბნის ექიმებს. გვქონდა არაერთი შეხვედრა, სადაც განვიხილეთ მათი პრობლემები აცრებთან დაკავშირებით. მეტნაკლები პროცენტულობით მიმდინარეობს ეს პროცესი სხვადასხვა ლოკაციაზე. ზოგადად, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რუტინული აცრების რაოდენობამ საგრძნობლად იკლო. გვქონდა 95%-იანი მაჩვენებელი, მაგრამ ბოლო წლებში ეს რიცხვი შეიცვალა. კორონავირუსმა ძალიან შეუშალა ხელი ამ პროცესს, რადგან კონტიგენტი, რომელიც უნდა აცრილიყო, სწორედ ის ბავშვები იყვნენ ავად და ვერ შეძლეს იმუზაციის პროცესის განხორციელება. პოსტკოვიდურ პერიოდში, სოფლის ექიმებთან ერთად განვახორციელეთ მიკროდაგეგმარება. ჯერ-ჯერობით, საბოლოო პროცენტული მაჩვენებელი არ გვაქვს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მდგომარეობა გაუმჯობესებულია. გვქონდა აგრეთვე პაპილომავირუსის უფასო ვაქცინაცია გოგონებისთვის, რომელიც სოფლებში უფრო აქტიურად მიმდინარეობდა. ეს ვირუსი რეპროდუქციული სისტემის ყველაზე გავრცელებული ინფექციაა და რიგი დაავადებების გამომწვევი მიზეზია როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში. ვაქცინა იმ ტიპების ვირუსის წინააღმდეგაა შექმნილი, რომლებიც იწვევს საშვილოსნოს ყელის კიბოს. ვაქცინა მაღალეფექტურია. აცრილთა 95-100%-ს უვითარდება დამცველობითი იმუნიტეტი. შესაბამისად, მცირდება ინფექციის გადაცემისა და კიბოს განვითარების რისკი. 2022 წლიდან 10,11,12 წლის გოგონების ასაკს დაემატა 13-18 წლის გოგონებიც. სწორედ ამ ასაკში ჩატარებული ვაქცინაციის შედეგად ყალიბდება ძლიერი და ეფექტური იმუნური პასუხი.

ბოლო დროს გამოვლენილი გრიპის შემთხვევები, როგორც ვიცით, რთულად მიმდინარეობს. გრიპის საწინააღმდეგო აცრები სტანდარტულად ტარდება. წლის განმავლობაში აცრილია 302 ადამიანი. დამატებით 120 ვაქცინა გადანაწილებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ძირითადად იცრებიან ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანები, შაქრიანი დიაბეტის, გულის დაავადებების მქონე და სხვა რისკ- ჯგუფში მყოფნი. თუმცა, სამინისტროს გადაწყეტილებით, წლის ბოლოსთვის უკვე ნებისმიერ მსურველს შეეძლო აცრა. მოთხოვნა დღემდე საკმაოდ მაღალია.

გვქონდა აგრეთვე თამბაქოს მონევის საწინააღმდეგო პროგრამა, რომელიც 2018 წელს დაიწყო და წელს დასრულდა. ის ამერიკის ემორის უნივერსიტეტის მიერ იყო დაფინანსებული და ითვალისწინებდა სიგარეტის მიმართ ადამიანის დამოკიდებულების შეცვლას. საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან ერთად ამ პროგრამაში ჩართული იყვნენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები: პედაგოგები, ექიმები, ჟურნალისტები და ა.შ. საკმაოდ აქტიურად ვითანამშრომლეთ დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის სხვადასხვა საფეხურის

მოსწავლეებთან. მინდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ ერუდირებული და გათვითცნობიერებული თაობაა. აქტიურად იყვნენ ჩართულები ლექცია-სემინარების პროცესში. მიუხედავად პანდემიისა, საკმაოდ დატვირთული პროგრამა გამოგვივიდა.

გვქონდა ასევე ბოტულიზმის ორი შემთხვევა. ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა დაგვიანებული მომართვიანობა, რამაც ლეტალური შედეგით დამთავრდა, ხოლო მეორე პაციენტის გადარჩენა მოხერხდა.

2022 წელს ცოფის შემთხვევები არ გამოვლენილა. მთლიანობაში აცრილია 300 ადამიანი.

ასევე, დამთავრდა C ჰეპატიტის ორწლიანი პროგრამაც. სასიხარულოა, რომ წელს არ გამოვლენილა შემთხვევები, წინა წლებთან განსხვავებით.

იმედი გვაქვს, 2023 წელი იქნება ნაკლებად დაძაბული და პანდემიური. მოგილოცავთ შობა-ახალ წელს. გისურვებთ მშვიდობასა და ჯანმრთელობას!

ჟუჟუნა ყანჩაშვილი
ხათუნა გენაშვილი

კიკბოქსინგი ნარკომანიის წინააღმდეგ!

დედოფლისწყარომ უმასპინძლა კიდევ ერთ შეჯიბრს კიკბოქსინგში, რომელიც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დარბაზში ჩატარდა სლოგანით „კიკბოქსინგი ნარკომანიის წინააღმდეგ“. ტურნირის მიზანი იყო ახალგაზრდობის ჩაბმა სპორტულ აქტივობებში და ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვა. შეჯიბრზე მონაწილეობა მიიღეს დედოფლისწყაროს, გურჯაანის, სიღნაღის, მარნეულისა და გარდაბნის კიკბოქსინგელებმა.

ტურნირის გამარჯვებულები არიან: **ბექა ნაროზაული** 57კგ; **გიორგი გულაშვილი** 63კგ; **ნიკა თარალაშვილი** 67 კგ; **ლუკა ზურიკაშვილი** 75 კგ.

უფროს ასაკში: **ილია ხატიაშვილი** 60 კგ; **მიშო ბაღდასარიანი** 67 კგ; **ვალერი რამაზანაშვილი** 71 კგ.

„განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო 19 წლის ვალერი რამაზანაშვილის ორთაბრძოლა, რომელმაც გამოცდილი მარნეულელი მონინააღმდეგე საბუჰ ყურბანოვი ბრძოლის დასაწყისშივე ოსტატურად შესრულებული შემხვედრი პირდაპირი დარტყმით „ნოკდაუნში“ ჩააგდო და მსაჯმა ბრძოლა შეაჩერა. ვალერი პერსპექტიული სპორტსმენია და მალე პროფესიონალურ კრივშიც ისპარეზებს,“ – უთხრა გაზეთ „შირაქს“ კიკბოქსინგის გუნდის ხელმძღვანელმა თამაზ ყარაგვეზაშვილმა.

შეჯიბრი მიმდინარეობდა მრავალრიცხოვანი მაყურებლის ოვაციების ფონზე. ღონისძიების მსვლელობას ხიბლი და სილამაზე შესძინა ქორეოგრაფიული ანსამბლის „გიორგელები“ ქართულმა ცეკვამ და თანამედროვე ცეკვების სტუდია „ვარსკვლავების“ გოგონების შესრულებულმა ულამაზესმა ნომრებმა.

გუნდი „ჩემპიონის“ ხელმძღვანელის თამაზ ყარაგვეზაშვილის ორგანიზებით წელს უკვე მესამე მასშტაბური ჩემპიონატი გაიმართა: 17 ივნისს „ხორნაბუჯის თასი“, 6 აგვისტოს „რინგის რაინდები“.

24 დეკემბერს გამართული შეჯიბრის „კიკბოქსინგი ნარკომანიის წინააღმდეგ“ იდეის განხორციელებაში მონაწილეობა მიიღეს გუნდი „ჩემპიონის“ პირველი თაობის სპორტსმენებმა და დედოფლისწყაროს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრმა.



ზემო მაჩხაანი ინტელექტ კონკურსში გამარჯვებულია

24 დეკემბერს ქალაქ დედოფლისწყაროში გაიმართა ფინალური შეხვედრა ინტელექტუალურ თამაშში „რა? სად? როდის?“. ფინალში მონაწილეობდა 6 გუნდი: ქვ. ქედის საჯარო სკოლის გუნდი „ნიკე“, ზემო ქედის №2 საჯარო სკოლის გუნდი „პენტარქია“, ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის გუნდი „რქაწითელი“, ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის გუნდი „საფერავი“, ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის გუნდი „პირველები“ და ქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის გუნდი „ანუბისი“.

ფინალური თამაში დაძაბულ და საინტერესო გარემოში წარიმართა. პირველ ადგილზე 10 ქულით ზემო მაჩხაანის გუნდი „საფერავი“ გავიდა, მეორე ადგილი 9 ქულით დაიკავა ქვ. ქედის გუნდმა „ნიკე“, ხოლო მესამე ადგილი 8 ქულით ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის გუნდს ხვდა.

გამარჯვებული გუნდები სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრისგან დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით და დიპლომებით. ასევე გამოვლინდა საუკეთესო ინტელექტუალი მოთამაშე ზემო მაჩხაანიდან, „საფერავის“ წევრი ნინო ყოჩიაშვილი, რომელსაც ჟიურომ სპეციალური პრიზი გადასცა.

ნინო ყოჩიაშვილი: „ეს გუნდი რამდენიმე წელია მონაწილეობს ინტელექტ კონკურსში, თუმცა ამ შემადგენლობით პირველად გავედით.

ძალიან მიყვარს ინტელექტუალური თამაშები და საკუთარი ცოდნის გამოცდა, ამიტომაც სიამოვნებით გავწევრიანდი გუნდში. ეს წარმატება ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. ამირჩიეს, როგორც „საუკეთესო ინტელექტუალი“, ჩემი ჯგუფი აღიარებდა, რომ თამაშის განმავლობაში ყველაზე მეტად ვაქტიურობდი და მეტ შეკითხვას ვუპასუხე. მინდა მადლობა გადავუხადო ჟიურის და პროექტის ავტორებს შესანიშნავი საჩუქრებისთვის, ამან უფრო მეტად წაგვახალისა და მეტი მოტივაცია გვაქვს. გუნდის ყველა წევრი ბედნიერია ამ შედეგით, ასევე მადლობა ჩვენი სკოლის დირექტორს მაია ხუნაშვილს, რომელიც ყოველთვის გვერდით გვიდგა და მხარს გვიჭერს.

ილია მარტყოფლიშვილი

„ძველად ახალი წელი აგვისტოში, მარტშიც კი აღინიშნებოდა“...

„...ქართველებისთვის ახალი წელი ყოველთვის განსაკუთრებული დღესასწაული იყო, რომელსაც მრავალი რიტუალი უკავშირდებოდა, რიტუალები კი ადამიანთა თვითშეგნებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა და დღესაც ასრულებს! ეს ყოველივე ქართველების თვითიდენტიფიკაციასთან პირდაპირაა დაკავშირებული...“ - საქართველოს მივიწყებულ საახალწლო ტრადიციებზე ეთნოლოგი, დოქტორი, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე - მირიან ხოსიტაშვილი საუბრობს.

- შეიძლება ითქვას, რომ თბილისში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ახალი წელი განსაკუთრებული დღესასწაული იყო და შესაბამისადაც აღინიშნებოდა... ეს განლდათ ერთ-ერთი დიდი საერო დღესასწაული. ჩვენს ისტორიაში დიდი ხნის განმავლობაში ახალი წელი სხვადასხვა დროს აღინიშნებოდა. არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ ახალ წელს VI-VII საუკუნემდე აგვისტოში აღნიშნავდნენ. შემდეგ იყო 2-3-საუკუნოვანი ციკლი, რა დროსაც ახალ წელს მარტში აღნიშნავდნენ. ეს ყველაფერი იმ დროინდელ კალენდარს უკავშირდებოდა... რასაკვირველია, იულიუსის კალენდრის შესახებ იცოდნენ, თუმცა გარკვეული შიდაქართული კალენდრის ცნობაც არსებობდა, რის მიხედვითაც ახალი წლის თარიღს ცვლიდნენ. XII საუკუნის შემდეგ უკვე იულიუსის კალენდარი დამკვიდრდა და ახალ წელს სწორედ რომ დეკემბრის ბოლოს- პირველი იანვრისთვის აღნიშნავდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ თბილისი მულტიკულტურული ქალაქი იყო, აქ სხვადასხვა ეთნოსის ნარმომადგენლები ცხოვრობდნენ, ისინი, როგორც წესი, ახალ წელს ერთმანეთს ულოცავდნენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ქართველის მეკვლე შეიძლებოდა ყოფილიყო ეთნიკურად სომეხი, აზერბაიჯანელი და-პირიქითაც.

- მურაბა დღეს აღარ არის შემორჩენილი საახალწლო სუფრაზე და განსაკუთრებით საინტერესოა, რომელი ხილის მურაბა იყო ყველაზე მიღებული?

-ძალიან პოპულარული იყო კაკლის მურაბა, რომელსაც თითქმის ყველა ოჯახში ახალი წლისთვის საგულდაგულოდ ინახავდნენ. გარდა ამისა, საგანგებოდ კვერებს აცხობდნენ. ორნაირი კვერი იყო: ტკბილიც და მარილიანიც. კვერებს სხვადასხვანაირი ფორმა ჰქონდა. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში იყო კაცის ფიგურის მსგავსი კვერები, რომელსაც ბასილას უწოდებდნენ, ვინაიდან პირველი იანვარი წმინდა ბასილის ხსენების დღეს ემთხვევა და მას განსაკუთრებით პატივს სცემდნენ... ერთი განსაკუთრებული თბილისური წესის შესახებ უნდა ითქვას... მოგეხსენებათ, თბილისში უამრავი ამქარი იყო, პროფესიული გაერთიანებები - მჭედლები, ხელოსნები, ოქრომჭედლები, ქვით ხუროები, კალატოზები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რომლებიც ამქრებში ერთიანდებოდნენ. ხშირ შემთხვევაში, ისინი თავიანთ სამუშაო ადგილზე მიდიოდნენ, ასე ვთქვათ, იმ ადგილს ახალ წელს ულოცავდნენ და სიკეთეს დაიბედებდნენ. ღმერთს შესთხოვდნენ, დალოცვილი ყოფილიყო მათი სამუშაო სივრცე, სადაც მათ სამჭედლო თუ სხვადასხვა ტიპის საწარმო ჰქონდათ. დანარჩენი საქართველოსგან განსხვავებით, რაც თბილისს უკავშირდება, ეს არის ქუჩაში გამოსვლა, შეკრება და სეირნობები... ახალ წელს შეხვდებოდნენ და უკვე პირველი იანვარი რომ დადგებოდა, მეკვლეს მიიღებდნენ, რომელსაც განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა. ტკბილეულით შეეგებებოდნენ, ისიც, რა თქმა უნდა, ოჯახში ტკბილეულით შემოდიოდა... ხშირ შემთხვევაში, საქართველოში და მათ შორის, თბილისშიც, მეკვლემ ოჯახში მარცვლეულის შემოყრა იცოდა, რაც ოჯახში ბარაქის შეტანას ნიშნავდა. მარცვლეულის შეყრის შემდეგ, მეკვლე შევიდოდა და ოჯახის თითოეულ წევრს დალოცავდა. მეკვლეობის ორი ფორმა არსებობდა... ერთის მიხედვით, წინასწარ შეთანხმებული იყო ოჯახის ახლობლის, ნათესავის, მეგობრის მისვლა, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ამ ოჯახში მეკვლედ სისტემატურად დადიოდა, რადგან ქართველების ნარმოდგენით, თუ კარგი წელი დაებედებოდათ, მომდევნო წლებშიც იმავე ადამიანს ეძახდნენ მეკვლედ. მეკვლეობის მეორე ფორმა შემთხვევითი ადამიანის მისვლა იყო ანუ წინასწარ არავინ ჰყავდათ შეთანხმებული და ვინც ოჯახის კარს პირველი შეაღებდა, შევიდოდა, მის ბედზე დაილოცავდნენ. გვიან პერიოდში, საქართველოში ნაძვის ხე შემოდის და ეს ერთმნიშვნელოვნად რუსეთის იმპერიას უკავშირდება. პირველად, XIX საუკუნის II ნახევარშია ნაძვის ხე საქართველოში დაფიქსირებული, რომელიც ფოტოებზეც აისახა, შემდეგ კი ის საქალაქო ცხოვრებაში ჩნდება. ქალაქის ცენტრში, რამდენიმე ადგილას საზოგადოებრივი ნაძვის ხე იდგმებოდა. პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის დროს ქალაქის ცენტრში დადგმულ ნაძვის ხესთან საახალწლო კონცერტები იმართებოდა. პრესაში ქვეყნდებოდა სტატიები საახალწლო ღონისძიებების შესახებ, მაგალითად, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთ-ერთ ნომერში წერია, რომ ნაძვის ხეზე გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა გაჭირვებულ ოჯახებს მოხმარდება... თბილისელებს მოუწოდებდნენ, რომ მისულიყვნენ კონცერტზე და შემოსული თანხა მარტოხელა დედებს გადაეცემოდათ, რომლებსაც მარჩენალი არ ჰყავდათ.XX საუკუნის დასაწყისში, იმ სამ წელიწადში, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი იყო, ძალიან ბევრი საახალწლო, საზეიმო კონცერტი გაიმართა. ეს ახალი სიტყვა იყო ქართული რეალობისათვის. მანამდე ასეთი ორგანიზებული, საახალწლო კონცერტები არ არსებობდა. მსგავსი ტიპის ორგანიზებულ ღონისძიებებს საფუძველი სწორედ მაშინ ჩაეყარა.

– საახალწლო სუფრები როგორ იცვლებოდა?

- საახალწლოდ აუცილებელი ატრიბუტი მოხარშული ღორის თავი იყო, რაც მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. არსებობს დოკუმენტი - ხელმწიფის კარის გარიგება, რომელიც XIV საუკუნით თარიღდება და ერთ-ერთი თავი დღესასწაულთა აღნიშვნას ეთმობა - როგორ აღინიშნოს ესა თუ ის დღესასწაული, როგორ შეხვდნენ, როგორ შეადგინონ პროტოკოლი და სხვა... იქ არის აღნიშნული, რომ ხელმწიფისთვის ანუ მეფისთვის საახალწლოდ გარეული ტახის მოხარშული თავი უნდა მიერთმიათ. ეს პატივისცემის ნიშანი იყო. მთლიანად საქართველოში, განსაკუთრებით ბარში, ფიქსირდება, ღორის თავის მირთმევა საახალწლო სუფრაზე. ამის საფუძველი შეგვიძლია უფრო წინარე ქრისტიანულ ხანაში ვეძიოთ. ტრადიცია ძალიან დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა და დღესაც კი საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სოფლებში რჩება. 50-60 წლის წინ, ბევრი ოჯახი ახალ წელს პირველი იანვრის ნაცვლად, 14 იანვარს აღნიშნავდა... ეს ყოველივე კალენდრის ცვლილებით იყო განპირობებული. მეოცე საუკუნემდე საქართველოში იულიუსის კალენდარს მიჰყვებოდნენ, გრიგორიანული კალენდარი ჩვენთან გვიან შემოვიდა.

მეოცე საუკუნეში გრიგორიანული კალენდრის შემოსვლამ საერო და საეკლესიო დღესასწაულების ერთმანეთთან აცდენა განაპირობა. ამიტომაც გვაქვს ორი შობა, ორი ახალი წელი და სხვა დღესასწაულები. ეკლესია იულიუსის კალენდარზე დარჩა, ხოლო საერო გრიგორიანულ კალენდარზე გადავიდა. ეს კალენდარი საჭირო იმისთვის გახდა, რომ დიდი ხნის მანძილზე იულიუსის კალენდარს ცდომილება ჰქონდა, რაც დაგროვდა და, საბოლოო ჯამში, 13 დღე შეადგინა. ამიტომაც მეთხუთმეტე საუკუნეში რომის პაპმა - გრიგოლმა ახალი კალენდარი შექმნა, ბევრი ქვეყანა ამ კალენდარზე გვიან გადავიდა და მათ შორის - საქართველოც. გრიგორიანული კალენდარი უფრო ზუსტია, ვიდრე - იულიუსის. თუმცა ცდომილება მანდაც არის, რადგან ეს ყველაფერი მზის, მთვარის ფაზებს უკავშირდება, რაც ცალკე სასაუბრო თემაა...1923-24 წლებში იყო მცდელობა, ეკლესიაც გრიგორიანულ კალენდარზე გადასულიყო, შობა კი 25 დეკემბერს აღენიშნათ. ამ პერიოდში საქართველო უკვე გასაბჭოებულია, ეკლესიაში ძალიან რთული სიტუაციაა, დაპატიმრებულია კათალიკოს პატრიარქი ამბროსი ხელაია. მისი მოვალეობის შემსრულებელი და სხვა სასულიერო პირების ჯგუფი რეფორმას ამზადებდნენ კალენდრის ცვლილებასთან დაკავშირებით, რეფორმის მონახაზი ციხეში შეუტანეს ამბროსი ხელაიას, მან მოიწონა მომზადებული დოკუმენტი, რომელიც გრიგორიანულ კალენდარზე გადასვლას გულისხმობდა, მაგრამ იქვე კითხვა დასვა, შეამზადებს თუ არა ამისთვის ხალხი. მას უთხრეს რომ მოსახლეობამ ეს ცვლილება მოიწონა, მაგრამ რეალურად ასე არ იყო და ახალი კალენდარი ხალხმა არ მიიღო. ეს იმიტომ მოხდა, რომ ხალხი ინფორმირებული არ იყო. ვერ აუხსნეს, ეს ყველაფერი რატომ ხდებოდა.

ისევ ახალი წლის ტრადიციებზე საუბარს რომ დავუბრუნდეთ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ახალ წელს საჩუქრების ჩუქება. სიმბოლური საჩუქარი ადამიანის კეთილ სურვილებს, სიკეთის, სიახლის დაბედებას ნიშნავდა. კიდევ ერთი საინტერესო ტრადიცია არის ის, რომ ოჯახის წევრების სახელზე სხვადასხვა ტიპის კვერებს აცხობდნენ.. რომლის კვერიც მობრაწულად, მადისაღმძვრელად გამოცხვებოდა, იმ ოჯახის წევრს ეტყოდნენ, რომ წარმატებული წელი ექნებოდა. რომლის კვერიც კარგად ვერ გამოცხვებოდა, დაინვებოდა, ფორმას შეიცვლიდა, მას აფრთხილებდნენ, რომ წარმატებული წელი ვერ ექნებოდა, რადგან ბედის კვერი კარგად ვერ გამოცხვაო... ჩვენში სამყაროს მიმართ წარმოდგენები ამდაგვარი იყო. ყველა სიმბოლოს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რაც კი ახალ წელს უკავშირდებოდა. ამიტომაც, ახალ წელს მისტიკურ, განსაკუთრებულ დღედ აღიქვამდნენ. დიდი ტრადიცია იყო ბალ-ვენახში გასვლა, იქაც შეავედრებდნენ ღმერთს თავის სარჩო-საბადებელს. უმნიშვნელოვანესი იყო საახალწლო და საშობაო სიმღერები, რომელთაც მხოლოდ ამ დღესასწაულებზე მღეროდნენ და არც ერთ შემთხვევაში, სხვა დღესასწაულებზე, ვინაიდან თვლიდნენ, რომ მხოლოდ ახალ წელს, შობას ეკუთვნოდა... დღეს შემორჩენილია საშობაო ალილო, ალილოს რამდენიმე ფორმა. ჩვენში ძალიან გავრცელებული იყო მონყალების გაღება. ადამიანები კარდაკარ დადიოდნენ და უპოვრებისთვის სხვადასხვა ნივთს, საკვებს აგროვებდნენ, ახალ წელს რომ ყველა ბედნიერად შეხვედროდა.

როგორც ვხედავთ, ქართველებისთვის ახალი წელი ყოველთვის განსაკუთრებული დღესასწაული იყო, რომელსაც მრავალი რიტუალი უკავშირდებოდა, რიტუალები კი ადამიანთა თვითშეგნებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა და დღესაც ასრულებს, ეს ყოველივე კი ქართველების თვითიდენტიფიკაციასთან პირდაპირ კავშირშია. მინდა, ამ შემთხვევით ვისარგებლო და ჩვენს მკითხველს და სრულიად საქართველოს დამდეგი ახალი წელი მივულოცო, ბედნიერების და წარმატების მომტანი ყოფილიყოს 2023 წელი ჩვენი ქვეყნისთვის.

საახალწლო ღონისძიებები დედოფლისწყაროში

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით და მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, კახეთის ოთხი ქალაქის შემდეგ, 30 დეკემბერს, დედოფლისწყარომ საახალწლო ღონისძიებებს უმასპინძლა. აღსანიშნავია, რომ ქალაქი 2023 წელს განახლებული ქუჩებითა და ახალი ილუმინაციებით ხვდება.

ღონისძიებისთვის სამზადისი დილიდან აქტიურად მიმდინარეობდა -კულტურის სახლის ეზოში მოეწყო საშობაო ბაზრობა: ადგილობრივი ნაწარმის, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, გლინტვეინი, ნუგბარი, ცხელი შოკოლადი. ასევე საბავშვო სივრცე: სახალისო თამაშები, აზოტის შოუ, მარიონეტების შოუ და ჯაზბენდის წარმოდგენები. პატარებს შეხვდათ თოვლის პაპაც, რომელმაც ქალაქის მთავარ ნაძვისხესთან მისულ ბავშვებს საჩუქრები დაურიგა. პარალელურად გაიმართა ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით საბავშვო კონცერტი.

ანა კობახიძე, საორგანიზაციო ჯგუფის წევრი: „მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივით, გაგრძელდა საახალწლო ღონისძიებები, რომელსაც ამჯერად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა. გვქონდა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები ყველა თაობის წარმომადგენლისთვის. ადგილობრივი შემსრულებლებიც შეუერთდნენ საახალწლო განწყობის შექმნას. ღონისძიება გრანდიოზულად დაასრულა ჯგუფმა „ბურსა“ და საზეიმო ფოიერვერკმა.“

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი: „მთავრობის ხელშეწყობით ძალიან გრანდიოზული ღონისძიება გაიმართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. განწყობა იყო ამაღლებული, საახალწლო, ბავშვებისთვის იყო საოცრად მხიარული გარემო შექმნილი. საღამო დააგვირგვინა არაჩვეულებრივი გუნდის კონცერტმა და კიდევ უფრო აღმატებული განწყობა შექმნა მოსახლეობაში.“

ლევან ლილუაშვილი, კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე: „საქართველოს მასშტაბით ყველა რეგიონსა და მუნიციპალიტეტში ტარდება საახალწლო ღონისძიებები. 30 დეკემბერს ვიმყოფებოდით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სადაც მოწყობილი იყო საშობა ბაზრობა, საბავშვო და გასართობი სივრცეები. მინდა მივულოცო ყველა დედოფლისწყაროელს, შობა-ახალი წელი. წინსვლასა და წარმატებას ვუსურვებ თქვენს მუნიციპალიტეტსა და სრულიად საქართველოს.“

გოდერძი გონაშვილი, ადგილობრივი მეღვინე: „ასეთი საოცრება, ასეთი ლამაზი და გასაოცარი გარემო რომ ვნახე, თავი სიზმარში მეგონა. ასე ლამაზად მოწყობილი, ასე კარგად გაკეთებული სივრცეები შესაძლებლობას აძლევს ადგილობრივ მეწარმეებს უკეთ გააცხოს თავი მისულ სტუმარსა და დამთვალიერებელს. ასეთი დღეები ჩვენც, მცირე მეწარმეებსაც ძალიან გვეხმარება. ვულოცავ ყველას შობა-ახალ წელს, ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ ახალ, 2023 წელს“.

ღონისძიება ბენდმა „ურსა“ და საზეიმო ფოიერვერკმა დაასრულა.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 02.01	სამშაბათი 03.01	ოთხშაბათი 04.01	ხუთშაბათი 05.01	პარასკევი 06.01	შაბათი 07.01	კვირა 08.01
დღე	7°	8°	10 °	7°	2°	2°	3 °
ღამე	−3 °	−2°	−3 °	−3°	-6 °	-6 °	-6 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი